პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 135 (19577) ◆ ოთხშაბათი, 11 ივნისი, 1986 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ვინ მოიპოვებს „კომუნისტისა“ და სახალგრომრეწვის გარდამავალ დროშებს?

ხარისხია მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელი!

ზუგდიდი. რაიონის მეჩაიეობის საზოგადოებრივი მეურნეობები ერთსულოვნად ჩაებნენ გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და რესპუბლიკის სახალგრომრეწვის მიერ დაწესებული გარდამავალი დროშების მოსაპოვებლად გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში. ზუგდიდელებს განსაკუთრებით ეამაყებათ, რომ ეს სამატიო ჯილდოები თავიანთი რაიონის მკვიდრის, საქვეყნოდ სახელგანთქმული ქალის, ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას სახელობისაა.

შეჯიბრების დევიზი — ხარისხია მეჩაიეთა შრომის განმსაზღვრელი! — ზუგდიდელმა მეჩაიეებმა გულთან უფრო ახლოს მიიტანეს.

ამ ბოლო დღეებში ამინდი გამოკეთდა და ჩაის ვეგეტაცია სტაბილურია. ამიტომ ქუდზე კაცია საჭირო. აქ ერთი წუთიც არ ნელდება ფოთლის კრეფის ტემპი. სოფლის მშრომელებს ქ. ზუგდიდის წარმოებადაწესებულებათა კოლექტივები ეხმარებიან, საშუალო სპეციალური სასწავლებლების უფროსკლასელები შრომითს სემესტრს ჩარს პლანტაციებში ატარებენ.

შარშან ჩაის ბუჩქის არასწორი ექსპლოატაციის შედეგად ხარისხი ბევრ კოლმეურნეობაში დაქვეითდა და წელსაც საშიშროება შეიქმნა. ახლო წარსულის შეცდომების გამოსწორებისათვის ახლა დიდ შრომას ხარჯავენ.

ივნისის პირველი დეკადის დასასრულის ცნობებით, დამზადებული ნედლეულის საერთო რაოდენობაში ნაზი ფრაქციის შემცველობა 53 პროცენტია. კარგია თუ ცუდი ეს ციფრი, ჯერჯერობით გასარკვევია, მაგრამ აქ მას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევენ...

შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ჯიხაშკარის, ახალკახათის და ნარაზენის კოლმეურნეობები, ახასიოუმნის, ანაკლიის, განმუხურის სახელოთა მეურნეობები. აქ ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად ნედლეულის რაოდენობისთვისაც წარმატებით ირჯებიან. ჯიხაშკარის კოლმეურნეობას 276 ტონა ფოთოლი აქვს მოკრეფილი. აქედან 61 პროცენტი უმაღლესი ხარისხისაა.

დაწინაურდნენ ნარაზენის ჩაის ფაბრიკის მშრომელები. მათ გადამუშავებული მთელი 1.900 ტონა ნედლეული მაღალხარისხოვანია.

მიუხედავად ამისა, რაიონის ბევრ სახოგადოებრივ მეურნეობაში ფოთლის კრეფის ტემპი არადამაკმაყოფილებელია. **შეიძლება ითქვას, რომ მაის-ივნისის გეგმის შესრულება საფრთხეშია.** საამისოდ მოვიყვანთ რამდენიმე ფაქტს:

რაიონში ორი თვის გეგმით უნდა მოიკრიფოს 38.890 ტონა ხარისხოვანი ნედლეული. დღესასთვის დამზადებულია 11.427 ტონა, ანუ ორი თვის გეგმა 29,4 პროცენტით არის შესრულებული. ეს ნამდვილად არადამაკმაყოფილებელია.

დარჩენილ ორ დეკადაში ზუგდიდის რაიონის მეჩაიეებს დასჭირდებათ ძალების ძაესიძალური დაძაბვა. **ეს განსაკუთრებით ეხებათ ცაიშის, ურთის, ჭითაწყარის, ოდიშის და ტყვიიას კოლმეურნეობებს, ზედა ეწრის, ინგირის, ნარაზენის, ხეცერიხა და ონარიის სახელოთა მეურნეობებს, რომლებიც ნედლეულის დამზადების საქმეში რაიონის საშუალო დონესაც კი ჩამორჩებიან.**

როგორც ვხედავთ, ძდგომარეობა სერიოზულია. ჩაის ფოთლის კრეფის ტემპის დაჩქარებამ ნედლეულის ხარისხის გაუარესება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გამოიწვიოს. შრომითი რეზერვების მაქსიმალური ამოქმედებით მოკლე დროში ჩამორჩენა დაძლეულ უნდა იქნეს. ასეთია რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების სამოქმედო დევიზი.

ბ. ნოდია,
ვ. ჩაჩიბაია,
„კომუნისტის“ სპეციალური კორესპონდენტები.

„კომუნისტის“ ბიბლიოთეკა

პლანტაციაში, ფაბრიკაში

ვინ მოიპოვებს „კომუნისტის“ ვიმპელს?

ვთიბოთ და ვთიბოთ ბალახი

დღეში 500 ცენტნერი

მდინარე რიონის მარცხენა სანაპიროს ჭალებში დილიდან გვიან ღამემდე მუშაობენ დიხაშხოელი საკვებმომპოვებლები. კომბაინები დიხეულ მიიწევენ წინ, ნოქავენ აბიბინებული შვრიის ყანას, დაქუცმაცებულ მწვანე მასას თვითსაცლელ მანქანებში ყრიან, ტრანშეებში ჩაყრილ საკვებს კი ბუხლუნა ტრაქტორები საგულდაგულოდ ტკეპნიან, ზამთრისათვის ამზადებენ. დიხაშხოს კოლმეურნეობა პირველი შეუდგა რაიონში საკვების დამზადებას. ალბათ ამიტომაც იყო, რომ პარტიის ვინის რაიკომის პირველმა მდივანმა ნ. ანდრიაძემ გვიჩრია, უშუალოდ საკვების სავარგულებში გავცნობოდით დიხაშხოელთა საქმიანობას.

აქაურ საკვებმომპოვებლებს ჩინებულად აუწყვიათ ფურაჟის დამზადების საქმე. ბოლოს ბოლოს, ბევრი აღმოჩნდა, მაგრამ დიდნაყოფიერი მუშაობით მაინც გამორჩეულნენ ბენქანაბატორები ოთარ ერემეიშვილი, ანზორ ვაშაყმაძე, დურმიშხან ერემეიშვილი, ზაურ ხელაძე, ვახტანგ ერემეიშვილი. ისინი ყოველდღიურ დაალებებს დიდი გადაჭარბებით ასრულებენ. მათი დამსახურებაა, რომ კოლმეურნეობაში დღეში 400-500 ცენტნერი სენაჟი მზადდება. თუ ამინდმა ხელი შეუწყო, წლიურ დავალებას ერთ კვირაში დიდი გადამეტებით შეასრულებენ, 200 ტონის ნაცვლად 600 ტონა სენაჟს დაამბინავებენ.

— შარშან 200 ტონა სილოსი აბაშის რაიონიდან შემოვზიდეთ, ხოლო 120 ტონა თავა — რუსეთიდან, თანაც მომასისხლად ვიყიდეთ, — გვითხრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ზ. ბუაძემ.

დიხაშხოელებს წლიულს გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი წარმოების საკვები მეტი მოიმარაგონ, რათა უფრო განამტკიცონ გამოზამთრების პერიოდში მოპოვებული წარმატებანი. ამ ამოცანის გადაწყვეტისათვის აქ უნარიანად იყენებენ საკვები კულტურების განმეორებით თესვას. შვრიისაგან განთავისუფლებულ მინდორს სასილოსე სიმინდს უთმობენ.

ამ საქმეში აქტიურობენ გივი თათვიძე, ნოდარ დვალიშვილი, უშანგი ქავთარაძე.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე

10 ივნისს მოსკოვიდან ბუდაპეშტში ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირი.

თათბირში მონაწილეობენ დელეგაციები: ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა — ტოდორ ჟივკოვის მეთაურობით, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა — ერიხ ჰონეკერის მეთაურობით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა — ვოიეცეხ იარუზელსკის მეთაურობით, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ი. ბარბაში.

* * *

იმავე დღეს დელეგაციის წევრები ჩავიდნენ ბუდაპეშტში. აეროპორტში მას დახვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის პრეზიდიუმის თავმჯდომარე პ. ლოშონცი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დ. ლაზარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. სუარეში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პ. ვარკონი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ფ. კარპატი, სხვა ოფიციალური პირნი.

დამხვდურთა შორის იყო სსრ კავშირის ელჩი უნგრეთის სახალხო რესპუბლიკაში ბ. ი. სტუკალინი. (საკდეს).

მეგობრობის მიტინგი ჩეპელში

საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგზე.

საკდეს-საკინფორმის ტელეფოტო.

ბუდაპეშტი, 9 ივნისი. (საკდესის სპეც. კორ.). უნგრეთის ინდუსტრიის სიამაყეა ჩეპელის ჩარხსაშენებელი ქარხანა. მისი კოლექტივი სათუთად ინახავს და ამრავლებს მდიდარ რევოლუციურ და შრომითს ტრადიციებს. ჩეპელელები აქტიურად მონაწილეობდნენ უნგრეთში საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში. ბევრი რამ გააკეთეს ფაშიზმისაგან ქვეყნის განთავისუფლების შემდგომ წლებში სამამულო მრეწველობის ჩამოყალიბებისა და განვითარებისათვის.

საბჭოთა კავშირი ერთ-ერთი უდიდესი შემკვეთია ჩარხებისა, რომელსაც ქარხანა უშვებს. განვლილ ხუთწლედში ჩვენს ქვეყანაში საწარმოს მიერ გამოგზავნილი პროდუქციის მოცულობა თითქმის ერთიათად გაიზარდა. მტკიცდება და ვითარდება ჩეპელის ჩარხშენებლებისა და სსრ კავშირის მონათესავე საწარმოთა მშრომელების სოციალისტური შეჯიბრება. კოლექტივი წარმატებით ასრულებს სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავად ნაკისრ ვალდებულებებს.

დღეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მ. ს. გორბაჩოვი ჩეპელელ ჩარხშენებლებს ესტუმრა. საწარმოში მას შეხვდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის გენერალური მდივანი ი. კადარი, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ხავაში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, პარტიის ბუდაპეშტის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი კ. გროსი, პარტიის XXI რაიკომის პირველი მდივანი ა. ერნსტი, ქარხნის პარტიული ორგანიზაციისა და კოლექტივის წარმომადგენლები. მუშებმა სპეციალ საბჭოთა სტუმარს ყვავიები მიართვეს.

მ. ს. გორბაჩოვი და ი. კადარი იყვნენ საამქროებში, გაეცნენ თანამედროვე პროდუქციის წარმოების ტექნოლოგიას.

ქარხნის გენერალურმა დირექტორმა ი. ერდეიმ ილაპარაკა საწარმოს განვითარების შესახებ და აღნიშნა, რომ ჩეპელელ ჩარხშენებელთა მიღწეული პროფესიული დონე შესაძლებლობას აძლევს გამოუშვან ნაწარმი, რომელიც შეესაბამება თანამედროვე წარმოების მაღალ მოთხოვნებს როგორც დეტალების ხარისხის, ისე ზუსტი დამუშავების თვალსაზრისით. საწარმოს საქმიანობაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებს საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობა, მზარდი მიწოდება საბჭოეთში. ამჟამად ტრადიციულ პროდუქციასთან ერთად იგზავნება რიცხვული პროგრამული მართვის სახარატო ჩარხები და დამმუშავებელი ცენტრები. ფართოვდება ჩეპელელთა შემოქმედებითი თანამგობრობა მოსკოვის ს. ორჯონიკიძის სახელობის ქარხნის კოლექტივთან.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ყველგან ენთუზიასტულად ხვდებოდნენ. ჩარხშენებლებთან საუბრისას მან გამოიკითხა, როგორ ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევები, როგორია წარმოების ორგანიზაცია, რა საქმიანობას ეწევა საწარმოს საბჭო, აღნიშნა, რომ საჭიროა კვლავაც განავითაროონ მომძმე ქვეყნების მუშათა, ინჟინერთა და მეცნიერთა შემოქმედებითი თანამშრომლობა.

მ. ს. გორბაჩოვმა საწარმოს ერთ-ერთი მოწინავე კოლექტივის — ბრიგადა „შვიდობის“ დღიურში ჩაწერა:

„მხურვალედ მივესალმები ბრიგადა „შვიდობის“, რომელმაც მაღალი მაჩვენებლები მოიპოვა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობისა და სკკპ XXVII ყრილობის აღსანიშნავ შრომითი კოლექტივების შეჯიბრებაში.

ქვეყნები ბრიგადის საქმიანობა დაკავშირებულია უპირველესი მნიშვნელობის ამოცანის პრაქტიკულ გადაწყვეტასთან — ახალი საზოგადოების მშენებლობის სამსახურში ჩაყაყნოთ ყველაზე სრულყოფილი და მძლავრი ტექნიკა, მეცნიერების მიღწევები, შემოქმედებითი შრომის ძალა. ეს სოციალიზმის პოზიციების განმტკიცების, ჩვენი ქვეყნების ხალხთა უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფის მთავარი გზაა.

ბრიგადის სახელწოდება ყველა მშრომელი ადამიანის მისწრაფებას გამოხატავს. საბჭოთა კავშირი მოძმე სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად არ დაიშურებს ძალღონეს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ჩვენს პლანეტაზე ხალხთა მშვიდობა და უშიშროება.

ვუსურვებ ბრიგადის წევრებს, ქარხნის კოლექტივს, სახელოვანი რევოლუციური ტრადიციების მქონე „წითელი ჩეპელის“ ყველა მშრომელს ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, ბედნიერებას, ახალ დიდ წარმატებებს სოციალისტური უნგრეთის აყვავების საკეთილდღეოდ“.

მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო ქარხანაში მოწყობილ გამოფენას. მისა ექსპონატები ასახავენ უნგრეთის იმ საწარმოებისა და სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების მიღწევებს, რომლებიც მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობაში, ახსნა-განმარტებას იძლეოდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობის მინისტრი ლ. კაპი.

ქარხნის დათვალიერების შემდეგ გაიმართა საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობის მიტინგი. საწარმოს მუშებისა და სპეციალისტების სახელით საბჭოთა სტუმრის მიესალმნენ ეკონომიკის განყოფილების ხელმძღვანელი ქ. ბარაზი და ამწყობი ზეინკალი ა. შიმონჩიკი.

მიტინგზე გამოვიდნენ ამხანაგები მ. ს. გორბაჩოვი და ი. კადარი. მათი გამოსვლები დიდი ყურადღებით მოისმინეს, დარბაზში ხშირად გაისმოდა ხანგრძლივი ტაში.

მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

გულითად მადლობას გიხდით გულთბილი მასპინძლობისათვის. დიდ მადლობას გიხდით თქვენ, ძვირფასო ამხანაგო კადარ, ყველა უნგრელ მეგობარს კეთილი სურვილებისათვის, რომლებიც აქ ითქვა ჩვენს ქვეყანაზე, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის მეგობრობაზე.

ბუდაპეშტში პირველად როდი ვარ. და თქვენს მშვენიერ დედაქალაქთან შეხვედრა, ქარხნის გაცნობა საფუძველს მაძლევს ვთქვა: ქვეყანა ცხოვრობს კარგი, მუშური რიტმით. აქ, თქვენთან, ჩეპელში, გრძნობ ორა მარტო საკუთარი საწარმოს, არამედ ქვეყნის სქემიანთან დაინტერესების ატმოსფეროს, რომელიც ესოდენ ნაცნობია ჩემთვის საბჭოთა შრომითს კოლექტივებში შეხვედრებით.

გუშინ მე და ამხანაგ კადარს შინაარსიანი საუბარი გვქონდა. ვილაპარაკეთ მსოფლიოში მკვეთრ ცვლილებებზე, მსოფლიო სოციალიზმის პრობლემებზე, იმაზე, თუ როგორ წყდება ჩვენი პარტიული ყრილობების მიერ დასახული. ამოცანები უნგრეთსა და საბჭოთა კავშირში. ამ ამოცანების არსი უნგრეთშიც და საბჭოთა კავშირშიც ცხადია: ვიმუშაოთ უკეთ, ჯერ კიდევ უფრო ეფექტიანად, ისე, როგორც მოითხოვს ამას ახლანდელი დრო.

დრო კი არც თქვენ, არც ჩვენ, არც სხვა მოძმე ქვეყნებს სხვა არჩევანს არ უტოვებს. იგი ახალ ისტორიულ მოთხოვნას უყენებს სოციალიზმის იმ უნარს, რომ ეწეოდეს შემოქმედებითს ძიებას. ჩვენ არ გვაქვს უფლება ვტკეპნოთ ერთი ადგილი, ჩამოვრჩეთ. მხოლოდ ნაბიჯის აჩქარებით შეძლებთ უფრო სრულად ჩავაყენოთ მშრომელი ადამიანის სამსახურში სოციალიზმის უზარმაზარი რეზერვები და შესაძლებლობანი. და, მაშასადამე, განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნების, მსოფლიო სოციალიზმის პოზიციები საერთაშორისო ასპარეზზე, გავზარდოთ მისი ავტორიტეტი, გავადიდოთ მისი მიმზიდველი ძალა, მისი ზემოქმედება მოვლენათა მიმდინარეობაზე, ბირთვული კატასტროფის თავიდან აცილებისათვის ბრძოლაზე.

ეს არის ჩვენი პარტიის მიერ შემუშავებული საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების სტრატეგიის ძირითადი აზრი და მიზანი. ეს, როგორც ხედავთ, დიდი, რთული ამოცანაა მასშტაბითაც, მდგომეობითაც, გადაწყვეტის მეთოდებითაც. ჩვენ, არსებითად ახლოოდ შევუდექით მის შესრულებას, მივაღწიეთ პირველ, მართალია ჯერ კიდევ მცირე შედეგებს. წინ ბევრი საქმე გველის.

ყველაფერი კი ნათელია აქ? ალბათ, ამ ეტაპზე ასეთ კითხვებს ბევრ ადამიანს, ბევრ ადგილას ვუსვამ. ეს ბუნებრივია. ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს, ეს ნიშნავს...

ეგოიზმის მიტინგი ჩეპელში

(დასასრული)

მრეწველობის საწარმოებისათვის, გაუტაცია უხვად გამდიდრებული ხლეჩადი მასალები. ამიტომ უაღრესად მნიშვნელოვანი ამოცანაა შევიმუშაოთ ბირთვული ტერორიზმისა და ყოველი გამოვლინების თავიდან აცილების ღონისძიებათა სიმეფო სისტემა.

მშვიდობიან ატომს, ისევე, რაგორც მშვიდობიან კოსმოსს, სჭირდება ყველა სახელმწიფოს მეცადინეობის გაერთიანება, რათა ეს საკითხები წყდებოდეს არა რჩეულთა წრეში, არამედ ფართო საერთაშორისო ფორუმზე, ყველა დაინტერესებული სახელმწიფოს მონაწილეობით.

მაგრამ ეს ერთადერთი გაკვეთილი როდია, რომელიც ყველა ჩვენგანმა უნდა გამოიტანოს ატომურ ენერგეტიკაში მომხდარი ავარიებიდან. და ჩერნობილში მომხდარი ავარია ვერაფერით ვერ შეედრება ახლანდელი საზომით თუნდაც ყველაზე პატარა ბირთვული ბომბის აფეთქების შესაძლო შედეგებს. მსოფლიოში კი დაგროვილია ათიათასობით ბირთვული მუხტი, და თითოეულ მათგანს, ხაზგასმით აღვნიშნავ, მხოლოდ ერთს, შეუძლია თავს დაგვატეხოს კატასტროფა, რომლის მასშტაბი უბრალოდ წარმოუდგენელია. აი როგორია, ამხანაგებო, ჩვენი ბირთვული საუკუნის რეალობანი.

ჩვენი მიდგომა საერთაშორისო საქმეებისადმი შეიძლება ასე გამოვხატოთ: ბირთვული ომი არ უნდა დაეუშვათ, ბირთვული იარაღი უნდა მოვსპოთ. ამის გათვალისწინებით საბჭოთა კავშირმა წამოაყენა ბირთვული იარაღის სრული ლიკვიდაციის პროგრამა, რომლის პრაქტიკული განხორციელება შესაძლებელია. ამ პროგრამას მხარს უჭერენ ჩვენი მეგობრები და მოკავშირეები, ყველა საღად მოაზროვნე ადამიანი.

ამიტომ არის, ამხანაგებო, რომ ასეთ სიმტკიცეს ვიჩენთ ბირთვული გამოცდების საკითხში. მათი აკრძალვა ნიშნავს შეექმნათ პირველი მტკიცე დაბრკოლება მასობრივი მოსპობის იარაღის ზრდის გზაზე. და ის, თუ როგორ ეკიდებიან ამ პრობლემას სახელმწიფოები, ერთგვარი სასინჯი ქვაა, რომლითაც მოწმდება მათი პოლიტიკა. ის, ვინც ესწრაფვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას, მოითხოვს მის აკრძალვას, ვინც ებღაუჭება ასეთ იარაღს, ის ყოველ ღონესაც ხმარობს, რათა გამოცდები გაგრძელდეს.

მალე ერთი წელი შესრულდება მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირი არ აწყობს ბირთვულ აფეთქებებს. ეს მოწმობს სერიოზულ, პასუხისმგებლურ დამოკიდებულებას ომისა და მშვიდობის პრობლემისადმი. მაგრამ აღიღეთ ამერიკის შეერთებული შტატები, იქ ერთი დღეც ვერ წარმოუდგენიათ ისე, რომ არ გამოსცადონ ბირთვული იარაღი. ასე ამბობენ: ახლანდელ პირობებში ამ გამოცდების გარეშე არ შეიძლება არსებული პოტენციალის არც გაზრდა და არც სრულყოფაო. ვერაფერს იტყვი, სწორია, ახალი გამოცდების მოუწყობლად ძველ იარაღს ვერ გაუმჯობესებ, ახალს კი ვერ შექმნი. მაგრამ ჩვენ ხომ სწორედ ეს გვინდა. საბჭოთა ჯავშირმა წამოაყენა წინადადება ბოლო მოვუღოთ ბირთვულ იარაღს. სწორედ ამიტომ გავრისკეთ მშვიდობის გულისათვის, როცა გავახანგრძლივეთ ჩვენი ცალმხრივი მორატორიუმი. საბჭოთა კავშირი არწმუნებს შეერთებულ შტატებს მიბაძოს ჩვენს მაგალითს, ხოლო შემდეგ მოგვეელაპარაკოს სამედამოდ ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ ასეთი შეთანხმებისადმი ყოვლისმომცველი საიმედო კონტროლის პირობით. მაგრამ, როგორც ჩანს, ვაშინგტონში მზად არიან მხოლოდ იმისათვის, რომ კაცობრიობის ბედი საფრთხეში ჩააგდონ საკუთარი ეგოისტური ინტერესების გულისათვის. აბსურდული, ამორალური და უაღრესად საშიში პოლიტიკაა!

და კიდევ ერთი რამ არ შემიძლია არ ვთქვა აქ, ბუდაპეშტში. არ შემიძლია არ შევეხო ხმლდამრეობას ევროპაში, აქ დაგროვდა იმდენი ბირთვული იარაღი, რომ ჩვენი ჭეიდრიდ დასახლებული კონტინენტი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, პლანეტაზე ყველაზე აფეთქებასაშიში ადგილი გახდა. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის მოლაპარაკებაზე წამოაყენეთ ახალი პროექტი, რომლის მიზანია ევროპის განთავისუფლება საშაალო სიშორის საბჭოთა და ამერიკული რაკეტებისაგან. ეს საერთო ანგარიშით შეადგენს რამდენიმე ასეულ ბირთვულ მუხტს, რომლებსაც ძალუძს ევროპის მიწა-წყალი „ჯოჯოხეთის ცეცხლში“ გაახვიოს. არის ევროპაში, საერთოდ მსოფლიოში ბირთვული განიარაღების გზის გაკვალვის უნიკალური შანსი.

მართალია, ინგლისსაც და საფრანგეთსაც აქვთ ბირთვული იარაღი. იგი ჯერჯერობით არავითარი მოლაპარაკების საგანი არ არის. ჩვენი პოზიცია ასეთია: მთავარია, რომ ეს პოტენციალი არ იზრდებოდეს, თუ სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები მოსპობენ თავიანთ საშუალო სიშორის რაკეტებს. მაგრამ ჩვენ მზად ვართ მეტიც გავაკეთოთ და უკვე შევთავაზეთ ლონდონს: თუ იგი უარს იტყვის ბირთვულ იარაღზე, სსრ კავშირი თანაზომიერი მასშტაბით შეამცირებს თავის ბირთვულ საშუალებებს.

რა თქმა უნდა, ამ საკითხის ერთბაშად გადაწყვეტა შეუძლებელია. მაგრამ ხომ შეიძლება თანდათან ვიმოქმედოთ. მაგალითად, მოვილაპარაკოთ ბირთვული პოტენციალების ეტაპობრივი და ეკვივალენტური შემცირების შესახებ თანაბარი უშიშროების პრინციპებით და საიმედო კონტროლის პირობებში. საბჭოთა კავშირი მზად არის დაიწყოს ასეთი მოლაპარაკება ინგლისთანაც და საფრანგეთთანაც.

გვეკითხებიან, არაბირთვულ იარაღს რაღა ვუყოთო? ასეთი იარაღიც ხომ ძალიან ბევრია ევროპაში და იგი თავისთავად მრისხანე საფრთხეს ქმნის. ჩვენი ქვეყნები მხარს უჭერენ ჩვეულებრივი შეიარაღების არსებითს შემცირებას ევროპაში — ატლანტიკიდან ურალამდე. ისინი ანიხებენ განიხილონ დეტალურად შემუშავებული და გარკვეული ვადისათვის გათვალისწინებული პროგრამა ვარშავის ხელშეკრულების პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე, რომელიც ხვალ იხსნება ბუდაპეშტში.

ამხანაგებო, ჩვენ ძნელ, რთულ დროში ვცხოვრობთ, მაგრამ მთელი სიმტკიცით ვიტყვი: კაცობრიობას ძალუძს არა მარტო გადარჩენა, არამედ ისწავლოს კიდეც ადამიანურად, ესე იგი მშვიდობისა და თავისუფლების პირობებში ცხოვრება. მაგრამ ამისათვის უნდა ვიბრძოლოთ, ვიბრძოლოთ შეუპოვრად და ერთად. ვიბრძოლოთ არა მარტო ომის საფრთხის წინააღმდეგ, არამედ აგრეთვე სახელმწიფოთა საერთაშორისო ურთიერთმოქმედების გაღრმავებისათვის, როგორც ჩვენი პლანეტის, ისე კოსმოსის ათვისებისათვის.

უახლოეს დღეებში სსრ კავშირი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეიტანს ერთ პრინციპულად მნიშვნელოვან წინადადებას. მისი არსი მარტივია: გადავაქციოთ კოსმოსი „ვარსკვლავეთის მშვიდობის“ და არა „ვარსკვლავეთის ომების“ ასპარეზად. კაცობრიობას ძალუძს ერთსულოვანი ერთობლივი მოქმედებით წინ გაიჭრას სამყაროს კვლევისა და ჩვენი საერთო დედამიწისეული საჭიროებებისათვის მისი გამოყენების საქმეში. ეს სერიოზული, დიდი მასშტაბის პროგრამაა. ჩვენი წინადადებაა მისი განხორციელებისათვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში დავაარსოთ „კოსმოსის მსოფლიო ორგანიზაცია. ეს შეესაბამება ყველა სახელმწიფოს — დიდი, საშუალო, პატარა სახელმწიფოების ინტერესებს. „ინტერკოსმოსში“ სოციალისტური ქვეყნების მიერ შეძენილი გამოცდილება მოწმობს, რომ ეს სწორედ ასეა.

ამხანაგებო! ისტორია ისე წარიმართა, რომ ჩვენს ქვეყნებში სოციალიზმის გზები იმთავითვე მეჩიდრად გადაეხლართა ერთმანეთს. რუსეთში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებამ პერსპექტივა დაუსახა უნგრელ მუშათა ხელისუფლების დამყარებასაც. გმირულმა ბრძოლამ 1919 წლის უნგრეთის საბჭოთა რესპუბლიკისათვის — ამ ბრძოლაში კი ჩეპელის პროლეტარებიც მონაწილეობდნენ — თავისებურად ხელი შეუწყო აგრეთვე რუსეთის მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებას. ვ. ი. ლენინმა, საბჭოთა და უნგრელ კომუნისტთა პირველმა თაობებმა ვვიანდერძეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი სოლიდარობის ერთგულება. იგი გვეხმარება ვახორციელებდეთ, ხოლო როცა საჭიროა, მამაცურად ვიცავდეთ კიდეც ჩვენს საერთო მონაპოვრებს, ყოველივე საუკეთესოს, ძვირფასს ჩვენი ხალხების ურთიერთობაში, კომუნისტურ მიზნებისა და იდეალებს.

ძვირფასო ამხანაგებო! კიდევ ერთხელ მადლობას მოგახსენებთ გულითადი შეხვედრისათვის. გისურვებთ თქვენ, მთელ უნგრელ ხალხს წარმატებებს სოციალისტურ მშენებლობაში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებაში. დღე, იმარჯვებდეს თქვენს მიწა-წყალზე, ევროპაში და მის ფარგლებს გარეთ მშვიდობა და თანამშრომლობა!

ი. კადარის გამოსვლა

ძვირფასო ამხანაგებო!

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად მივესალმები ჩეპელის ჩარხსაშენებელი ქარხნის მშრომელებს, უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ჩვენი მიტინგის ყველა მონაწილეს. თქვენი სახით მივესალმები უნგრელ მუშათა კლასს, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ყველა მშრომელს.

ჩვენთვის უაღრესად სასიხარულო და დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა ის, რომ, მიიღო რა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწვევა, უნგრეთში მეგობრულ ვიზიტად ჩამოვიდა და ახლა აქ, ჩვენ შორის იმყოფება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვი. თქვენი ნებართვით, მინდა სულით და გულით მივესალმო ჩვენს საპატიო სტუმარს, ჩვენთვის ესოდენ ახლობელ ამხანაგს მ. ს. გორბაჩოვს, მის მეუღლეს და თანხლებ ყველა საბჭოთა მეგობარს. მათი სახით მივესალმებით საბჭოთა კავშირს, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა ჰიტლერული ფაშიზმის უღლისაგან, მომძე საბჭოთა ხალხს, რომელიც ჭირშიც და ლხინშიც მუდამ რჩება უნგრეთის ნამდვილ მეგობრად, ყოველთვის რომ მზად არის დასახმარებლად.

ძვირფასო ამხანაგებო! გუშინდელი დღე ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვთან ერთად მუშაობაში გავატარეთ. ერთმანეთს გავაცანით ჩვენს ქვეყნებში სოციალისტური მშენებლობის მიმდინარეობა, განვიხილეთ ორმხრივი ურთიერთობა, საბჭოთა კავშირ-უნგრეთის თანამშრომლობის შემდგომი განვითარების შესაძლებლობები, ყოველმხრივ გავუზიარეთ ერთმანეთს აზრი საერთაშორისო მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე.

მოლაპარაკებამ კვლავ დაადასტურა, რომ ჩვენი ერთიანობა მყარი და ურღვევია, ჭინაიდან მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო პრინციპების, ორივე ქვეყნის ძირითადი ინტერესებისა და პერსპექტიული მიზნების ერთობლიობის საფუძველზე უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ერთნაირად აფასებენ სოციალისტური მშენებლობისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებს. საერთოა მტკიცე გადაწყვეტილებაც განვაგრძოთ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის ორმხრივი თანამშრომლობის განვითარება ყველა დარგში და ავიყვანოთ იგი უფრო მაღალ დონეზე, ხოლო საერთაშორისო საკითხებში — ერთად ვიბრძოლოთ საერთო მიზნების მიღწევისათვის, ურთიერთობის გაუჯობესებისა და მყარი მშვიდობისათვის, კაცობრიობის უსაფრთხო მომავლისათვის, რომელიც თავისუფალი იქნება მასობრივი მოსპობის იარაღისაგან.

ძვირფასო ამხანაგებო! უნგრეთში სოციალისტური მშენებლობის შესახებ როცა ვესაუბრე, ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვს მივაწოდე სრული ინფორმაცია, გულახდილად ვუამბე, რომ ამჟამად ქვეყანაში ბევრია, საკმარისზე მეტია სიძნელე, რომ სოციალისტური მშენებლობის დროს ჩვენ ჯერ კიდევ დასაძლევი გვაქვს ძალზე სერიოზული დაბრკოლებები. ამასთან ერთად, რეალურად ვაფასებთ რა მდგომარეობას, ხაზი უნდა გავუსვათ, რომ განთავისუფლებისა და 1956 წლის შემდეგ გასულ ათწლეულებში ჩვენმა ხალხმა პარტიის ხელმძღვანელობით დიდ და უდავოდ ისტორიულ შედეგებს მიაღწია საწარმო სფეროში, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებაში, კულტურული დონის ამაღლებაში. ჩვენი პირობები უკვე ვეღარ შეედრება მდგომარეობას, რომელიც სახალხო ხელისუფლების დამყარებამდე, სოციალისტური სისტემის შექმნამდე არსებობდა. სრული უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ ამ პერიოდში ახალი უნგრეთი იშვა.

ჩვენ სავსებით მტკიცედ შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს მეგობრებს ისიც, რომ მუშათა კლასს, კოოპერირებულ გლეხობას, ინტელიგენციას, მთელ უნგრელი ხალხის უდიდეს უმრავლესობას ესმის და გულთან ახლოს მიაქვს უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პოლიტიკა, რომლის მიზანია მოპოვებული შედეგებისა და სოციალიზმის მონაპოვრების შენარჩუნება და გამყარება, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენება. ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, ვესწრაფვით იმას, რომ ვიარით ამ გზით და უზრუნველვყოთ უნგრელი ხალხისათვის მშვიდობა და უშიშროება, უკეთესი ცხოვრება და აყვავება.

ვიცით, რომ ამის საშუალებს მოგვცემს, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო ძალების, საკუთარი შესაძლებლობების უკეთ გამოყენება. საჭიროა უფრო ეფექტიანად განვავითაროთ წარმოება, ვიმუშაოთ სოციალისტური წყობილების უპირატესობებზე დაყრდნობით. ძირითადი მეცადინეობა უნდა მოვახმაროთ იმას, რომ წარმოება იზრდებოდეს ყველაზე მოწინავე ტექნიკის საფუძველზე, ვქმნიდეთ დაჩქარებული განვითარების შესაძლებლობებს, ვმუშაობდეთ მიზანდასახულად, ვიცავდეთ წესრიგსა და დისციპლინას, აღვკვეთდეთ შრომელთა ხარჯზე გამდიდრების ცდებს.

ჩვენი შემდგომი წინსვლის რეალური პროგრამა ჩამოყალიბებულია უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებებში, მეშვიდე ხუთწლიანი გეგმის ამოცანებში. მისი განხორციელება უკვე დაიწყო, ოღონდ, გულახდილად თუ ვიტყვით, იგი ნელა მიმდინარეობს და ჯერჯერობით არადამაკმაყოფილებელ შედეგებს გვაძლევს. თუმცა, ისეთი ჩვენგან დამოუკიდებელი არახელსაყრელი საგარეო პირობებიც არსებობს, რომლებიც მუშაობას გვირთულებენ. მაგრამ ახლა საკუთარ თავზე ვილაპარაკოთ. სიტუაცია მოითხოვს, რომ ცენტრალურმა კომიტეტმა, ყველა პარტიულმა ორგანიზაციამ, საზოგადოებრივმა ორგანომ, სამთავრობო თუ სამეურნეო დაწესებულებამ, ყველა მშრომელმა ახლა თავი დაანებონ ჩვეულ გამოანგარიშებებს, თუ ვინ და როგორ უნდა გაანაწილოს, და იფიქრონ იმაზე, თუ როგორ გაუძღვნენ მეურნეობას და გამოუშვან პროდუქცია უკეთ, პასუხისმგებლობის გრძნობით, გამოიყენონ არსებული საშუალებები, ადამიანების ცოდნა და უნარი. თუ სწორედ ასე წარკმართავთ საქმეს, მაშინ მომავალში არა მარტო მოინახება გასანაწილებელი და გამოსაყოფი, არამედ სულ უფრო მეტი დამატებითი რესურსიც გაჩნდება.

თუ ყველა ჩვენს ახლანდელ სიძნელეს გავითვალისწინებთ, გასაგები გახდება, რომ საჭიროა გადაეწყვიტოთ ბევრი ამოცანა. მაგრამ ისიც ვიცი, რომ ასჯერ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვიყავით, მაგრამ პარტიის, საზოგადოების, ხალხის ძალების დარაზმვით თავი გავართვით მათ, დავძლიეთ დაბრკოლებანი და კარგ შედეგებს მივაღწიეთ. ახლა ჩვენ გაცილებით მეტი ძალები გვაქვს. ჩვენს პარტიასა და ჩვენს ხალხს უფრო მდიდარი გამოცდილება და ცოდნა აქვთ, უფრო მოწიფული გახდნენ, ვიდრე წინათ იყვნენ. ამიტომ ბევრი რამ არის დამოკიდებული მიზნის გაცნობიერებაზე, ნებისყოფაზე, ამოცანების გადაწყვეტისადმი პასუხისმგებლურ მიდგომაზე, ერთი სიტყვით, — უკეთ მუშაობაზე.

ქვეყნის, ოლქების, საწარმოების საშუალო მაჩვენებლები ბევრ რამეს ფარავენ. არის განსხვავება ერთნაირ პირობებში მომუშავე კოლექტივების, ხელმძღვანელობისა და ცალკეული მშრომელების უკუგებაში. არიან მათ შორის ისეთებიც, ვინც ნამდვილად ჩინებულ შედეგებს აღწევს, ბევრი საშუალოდ მუშაობს, ზოგი კი ძალიან ცუდად. ეს კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანის ფაქტორზე.

ალბათ, დადგა დრო ხელმძღვანელი ორგანოების საქმიანობაშიც, საზოგადოებრივ შეფასებაშიც უფრო მტკიცედ და ერთმნიშვნელოვან წარმოვაჩინოთ, თანამიმდევრულად წაავახალისოთ მორალურად და მატერიალურად ის ხელმძღვანელები, რომლებიც მოითხოვენ ორგანიზებულ, დისციპლინიან შრომას, კარგად მომუშავე ადამიანები.

დარწმუნებული ვარ, თუ დავრაზმავთ ჩვენს ძალებს, ვიმუშავებთ შესაბამისი გეგმებით, ჩვენი პარტია და ჩვენი ხალხი შეძლებენ გააკეთონ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისთვის, რომ განვახორციელოთ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის XIII ყრილობის გადაწყვეტილებანი, რაც შეიძლება უკეთ შევასრულოთ ხუთწლიდის დავალებანი და მიმდინარე წლის გეგმები.

ამხანაგებო! ჩვენი ძალების დარაზმვასთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი რესურსებიც გვაქვს. უფრო სწრაფად შეგვიძლია წავიწიოთ წინ ჩვენი სოციალისტური ეროვნული, თუ განვავითარებთ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მრავალმხრივ ურთიერთობას და კავშირს ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს ფარგლებში, უკეთ გამოვიყენებთ შრომის საერთაშორისო დანაწილებიდან გამომდინარე შესაძლებლობებს. ამხანაგ მ. ს. გორბაჩოვის, ჩვენი საბჭოთა მეგობრობის თანდასწრებით პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა: ყველა ჩვენს მეგობარს კვლავაც შეუძლია ჰქონდეს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, როგორც იმ ქვეყნის იმედი, რომელიც მტკიცედ დგას სოციალისტურ საფუძველზე, თანამშრომლობის დარგში კი — როგორც საიმედო პარტნიორისა.

პატივცემულო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირი ისტორიაში შევიდა, როგორც ქვეყანა, რომელიც „ასახიერებს კაცობრიობის უმშვენიერეს იმედებს. თითქმის შვიდი ათწლეულის განმავლობაში სსრ კავშირი საზოგადოებრივი პროგრესისა და მშვიდობის უმნიშვნელოვანესი ბურჯია. ძნელია გადაჭარბებით შიაფასო მისი გამოცდილება და წარმატებები სოციალიზმის საქმისათვის, მთელი კაცობრიობისათვის.

ჩვენი პარტია და ხალხი დიდი ინტერესითა და სიმპათიით ადევნებდა თვალს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მუშაობას და მესალმებიან მის გადაწყვეტილებებს. ლენინური სულისკვეთებით ჩამოყალიბებული მიზნები და მისწრაფებები სტიმულია ჩვენი გეგმების განხორციელებაშიც, შემდგომ შემოქმედებითის ძიებასა და მუშაობაში. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის დინამიკური განვითარების შედეგად უფრო ხელშეწყობი პირობები შეიქმნება ჩვენი შრომისთვისაც. ვუსურვებთ საბჭოთა ხალხს შემდგომ დიდ წარმატებებს განვითარებული სოციალიზმის მშენებლობაში, საზოგადოებრივი და ეკონომიკური განვითარების დაჩქარების გზაზე.

საბჭოთა კავშირთან ჩვენი ურთიერთობა ემყარება ნაცად, ცხოვრებით დადასტურებულ ინტერნაციონალურ პრინციპებს, მეგობრულ და კეთილმეზობლურ შეკავშირებას, საერთო ინტერესებს. ჩვენი ურთიერთობა გამსჭვალულია ერთმანეთისადმი ნდობით, პატივისცემითა და გაგებით. ჩვენ უნგრეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცება, მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარება დიდი მნიშვნელობის უპირველეს ამოცანად მიგვაჩნია.

ძვირფასო ამხანაგებო! ხვალ უნგრეთში მუშაობას დაიწყებს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის მორიგი თათბირი. ჩვენი სამოკავშირეო სისტემის ქვეყნების პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები ერთმანეთს შეხვდებიან დაძაბული და წინააღმდეგობებით აღსავსე საერთაშორისო ვითარების პირობებში. საბჭოთა კავშირ-ამერიკის ჟენევის უმაღლესი დონის შეხვედრის შემდეგ მსოფლიო მომავალს რამდენადმე მეტი რწმენით შეჰყურებდა. მაგრამ უკვე მაშინ გვეშმოდა, და ეს დასტურდება ბოლო თვეების გამოცდილებით, რომ იმპერიალიზმის ექსტრემისტული წრეები, კონფრონტაციის ამერიკული და სხვა მომხრენი ასე ადვილად არ დათმობდნენ თავიანთ გეგმებს, კვლავაც გაძლიერებდნენ დაძაბულობასა და გამალებულ შეიარაღებას.

ჩვენი პარტია, მთავრობა, მთელი უნგრელი ხალხი მაღალ შეფასებას აძლევენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა ამ ვითარებაშიც აბორიგელებს აწონილ-დაწონილ, გაზრნებულ პოლიტიკურ კურსს. საბჭოთა კავშირი მტკიცედ, ინიციატივიანად ესწრაფვის ბირთვული იარაღის ლიკვიდაციას, კოსმოსური სიგრცის მილიტარიზაციის თავიდან აცილებას, გამალებული შეიარაღების რადიკალურ შეზღუდვას, ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები და საიმედოდ მოქმედი უშიშროების სისტემის შექმნას. ჩვეულებრივი შეიარაღებისა და შეიარაღებული ძალების შემცირების თაობაზე ახალი საბჭოთა წინადადება არსებითი წვლილი გახდება ევროპის მშვიდობისა და თანამშრომლობის განმტკიცებაში. ამის საფუძველზე, ჩვენ სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ერთად მტკიცედ და აქტიურად ვუჭერთ მხარს საბჭოთა კავშირს, ვმონაწილეობთ ამ ინიციატივის განხორციელებაში.

ჯერ ადრეა ლაპარაკი პოლიტიკური საკონსულტაციო კომიტეტის თათბირზე. გარკვევით მხოლოდ ერთ რამეს ვიტყვი: ვარშავის ხელშეკრულების სახელმწიფოები კვლავ აღიმაღლებენ ხმას მშვიდობის დასაცავად და მტკიცედ იღვაწებენ სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის. ჩვენ გვინდა, რომ პლანეტაზე ყველამ თავისუფლად იცხოვროს და უშიშრად იგრძნოს თავი, რომ უშიშროება ემყარებოდეს მრავალმხრივი თანამშრომლობის მტკიცე საფუძვლებს. იმოქმედებს რა თავის მოკავშირეებთან თანხმობით, გამოიყენებს თავის საშუალებებსა და შესაძლებლობებს, უნგრეთი ტეგიას. შემოხვევითი როდია, ალბათ, ერთადერთი, რომ უკანასკნელ ხანს საგანგებოდ გაძლიერებულ ხასიათს ატარებს ჩვენს ბრიგადიერებს, მრავალი ეკუთვნის ჩვენს ბრიგადიერებს, ეროვნული ეკონომიკისათვის ზურგსვის ჩვენ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ. ჩვენს უბანზე უკვე 1976 წლიდან გამოდის საბჭოთა შემკვეთებისათვის განკუთვნილი ზუსტი დამმუშავებელი ცენტრები. განცალკევებულ ნაგებობებზე საბჭოთა საწარმოებს ასზე მეტი ასეთი კომპლექსი გაეგზავნათ.

ამწყობმა ზეინკლმა ბ. დეაკმა თქვა, რომ მასზე და მის ამხანაგებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა მ. ს. გორბაჩოვთან შეხვედრამ. საბჭოთა ადამიანებისადმი მეგობრობის გულთბილ და წრფელ გრძნობებს ჩეპელის საწარმოთა მუშები თაობიდან თაობას გადასცემენ. სწორედ ამიტომ გახდა ჩვენი მუშური ღირსების საქმე სოციალისტური შრომითი ვალდებულებების შესრულება, ჩემმა ამხანაგებმა რომ იკისრეს საბჭოთა კომუნისტების XXVII ყრილობის აღსანიშნავად. დღეს ჩვენ დიდი ინტერესით ვადევნებთ თვალს სსრ კავშირში უმაღლესი პარტიული ფორუმის გადაწყვეტილებათა განხორციელების პროცესს. დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიერ ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანები გრანდიოზულია, რომ მათი შესრულების საწინდარია საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომა, მისი უდიდესი შემოქმედებითი უნარი, მჭიდრო ინტერნაციონალისტური კავშირი, რომელიც საბჭოთა მუშებსა და სოციალისტურ ქვეყნებში მათ კლასობრივ ძმებს აერთიანებს.

ამავე დღეს მ. ს. გორბაჩოვი გაეცნო უნგრეთის დედაქალაქის ცენტრს. მოედნებზე და ქუჩებში მას გულთბილად მიესალმებოდნენ ქალაქის მცხოვრებნი. გაამართა უშუალო საუბრები ბუდაპეშტელებთან.

მ. ს. გორბაჩოვს თან ახლდნენ ი. კადარი, ბუდაპეშტის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარე ზ. სეპეველდი, პარტიის V რაიკომის პირველი მდივანი ი. სიუჩი, რაიონული საბჭოს თავმჯდომარე ლ. სეკერეში.

ნაუუადღევს მ. ს. გორბაჩოვი ეწვია ბიოტექნოლოგიურ გაერთიანება „ბერიკლონს“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო „კოოპერატივის „როზმარინგის“ ბაზაზე მუშაობს. გაერთიანებაში შედის 18 სამეცნიერო-კვლევითი, სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო და საგარეო-სავაჭრო ორგანიზაცია.

სპეციალ სტუმარს გულთბილად მიესალმა უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის პუშტის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ლ. კრასნაი.

გაიმართა საუბარი კოოპერატივისა და გაერთიანების ხელმძღვანელებთან. კოოპერატივის თავმჯდომარემ ლ. მურავიმ აღნიშნა ბიოტექნოლოგიის დარგში მოპოვებული მიღწევების შესახებ. მეცნიერებმა და წარმოების მუშაკებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს კარტოფილის, ხილკენკროვანი კულტურების, დეკორატიული მცენარეების უკიბრუსო სარგავი მასალის მოშენებასა და მოვლა-მოყვანაში.

მ. ს. გორბაჩოვი იყო ლაბორატორიებში, ესაუბრა მეცნიერებს. მან აღნიშნა, რომ მუშობას, რომელსაც კოოპერატივი და გაერთიანება ეწევიან, დიდი მნიშვნელობა აქვს მომძე ქვეყნების მეცნიერების, სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი განვითარებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურ მდივანს ახლდნენ უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი ფ. ხავაში, უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ლ. პალი და მ. სიუჩეში.

ა. კუზმინი,
ვ. ტალანოვი.

განვამტკიცოთ შრომის დისციპლინა, დავამკვიდროთ ჯანიზელი ცხოვრების წესი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელ მუშაკთა, სამინისტროებისა და უწყებების, საკავშირო პროფსაბჭოს, სრულიად საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაკთა თათბირი, რომელზეც განხილულ, თუ როგორ სრულდება სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებანი შრომის დისციპლინის განმტკიცებისა და ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის შესახებ.

მოისმინეს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრის ა. ვ. ვლასოვის, სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრის გ. ი. ვაშჩენკოს, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ლ. ბ. ერმინის ინფორმაცია.

თათბირზე აღინიშნა, რომ ადგილებზე აქტიური მუშაობა წარმოებს, რათა ხორცი შეასხან პარტიის XXVII ყრილობის გადაწყვეტილებებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებს შეგნებული დისციპლინისა და ფხიზელი ცხოვრების წესის დამკვიდრების შესახებ. უმჯობესდება დისციპლინა და ორგანიზებულობა წარმოებაში, საზოგადოებრივი წესრიგი, ჯანსაღდება ვითარება საზოგადოებაში. შემცირდა უბედური შემთხვევების რიცხვი წარმოებაში, მკვეთრად იკლო დამნაშავეობამ ლოთობის ნიადაგზე. მესამედით და მეტად შემცირდა ალკოჰოლიანი სასმელების გაყიდვა. იზრდება იმ სოფლებისა და რაიონების რიცხვი, რომლებიც მკვიდრმა მცხოვრებლებმა სიფხიზლის ზონებად გამოაცხადეს. წარმოებს მუშაობა ღვინისა და არყის მოწესრიგებლობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა პროფილის შესაცვლელად, რათა უკეთ დაკმაყოფილდეს მოსახლეობის მოთხოვნა საკონდიტრო ნაწარმზე, წვენებსა და უალკოჰოლო სასმელებზე. ყოველივე ამას იწონებენ და მხარს უჭერენ საბჭოთა ადამიანები.

ამასთანავე თათბირზე ყურადღება მიეპყრო იმას, რომ ბევრმა სამინისტრომ და უწყებამ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა, რომლებიც პირველ, ნაწილობრივ შედეგებს დასჯერდნენ და ამ ბოლო დროს მოუკლეს მუშაობას ლოთობის აღმოფხვრისა და დისციპლინის განმტკიცებისათვის, იჩენენ თვითდამშვიდებას და გულარხეინობას.

ყველგან როდია შექმნილი დამრღვევთა შეუწყნარებლობის ვითარება, სუსტად გამოიყენება მასზე მორალური, მატერიალური და ადმინისტრაციული ზემოქმედების ღონისძიებანი, არასაკმარისად წარმოებს საპირო ინდივიდუალური მუშაობა ადამიანებთან. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ლოთობის, ღვინისა და არყის ნა

ფაქტები • მოვლენები
ეროვნული ბიბლიოთეკა

ROCA თქმა სჯობს არათქმასა

ერთობითა და თანადგომით...

ლია ფერილი

საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ა. მოვსესიანს, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრს კ. სალიას, ცეკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს კ. შავიშვილს.

საზოგადოების წინსვლა საოკეანო გემის გაშლილ ზღვაში გასვლას ჰგავს — მიაპობს ტალღებს, ბალასტი ედება, აფერხებს, მაგრამ კი ვერ აჩერებს. არსებობს სპეციალური სამსახური, რომელიც ხომალდის ამ დანაგვიანებას ადევნებს თვალყურს, წმენდს და აშორებს...

სწორედ ჩვენი, შინაგან საქმეთა სამსახურია ასეთი ბალასტის მეთვალყურე და მწმენდელი.

ჩვენი ვალია საზოგადოების დიდი ხომალდის წინსვლა შეუფერებელი და მიზანსწრაფული იყოს.

ასეა, სხეული ჯანსაღი უნდა იყოს, რათა სულიც ჯანსაღი ჰქონდეს.

არ უნდა იყოს ჩვენ საზოგადოებაში ქურდი, მექრთამე, სახელმწიფო ქონების დამტაცებელი.

ამ ბოლო ხანს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში, მათ შორის ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში, თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით პასუხისგებაში მიეცა და გასამართლებულია ასობით სახელმწიფო დოვლათის დამტაცებელი.

მკითხველმა იცის, რომ სარეალიზაციოდ წარმოებული მთელი სამრეწველო და სასურსათო პროდუქციის 80 პროცენტი სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობისთვის არის განკუთვნილი, ასე რომ, კარგად მოგვეხსენება, სად დევს მტაცებლის „ნატვრის თვალი", რას უნდა მოვუფრთხილდეთ და რა უნდა ვაქციოთ წმიდათაწმიდად და ხელშეუხებლად.

ჩვენ ვერ დავუშვებთ იმას, რომ, ერთი მხრივ, ვილაპარაკოთ პატიოსნებაზე, სინდისზე, მაღალ იდეალებზე და, მეორე მხრივ, ნიადაგი გავუპოხოთ ხაზინის მტაცებლებსა და სახელმწიფო ჯიბეში ხელის მოფათურეებს, დახლის ქვეშიდან მოვაჭრეთა და სხვათა თავამვეებულ პარპაშს...

დარღვევას დანაშაული მოჰყვა, დანაშაულს კვალის დაფარვის მიზნით — ხანძარი.

ასე იყო ადიგენში, ქუთაისში, გალში, წულუკიძეში. ეს დანაშაული რომ როგორმე „დარღვევად" შეგვეჩერებინა, შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებათა მაკონტროლებელ ორგანოებს რომ რაიმე პასუხისმგებლობა ეგრძნოთ დაკისრებული მოვალეობის წინაშე და თვალდახუჭულ მოსადირესავით აქეთ-იქით ფუჭი ვაზნებით არ დაეწყოთ ბათქა-ბუთქი, შემოწმება რომ ფორმალურად არ ეწყობოდეს, მატერიალური ფასეულობის დაცვის მდგომარეობა იმდენად იყოს გაკონტროლებული და მოვლილი, რომ შინაგან საქმეთა ორგანოებამდე არ მივიყვანოთ საქმე, ასე ვთქვათ, დანაშაული ჩანასახშივე შევაჩეროთ და მოვსპოთ, სულ სხვა სურათს მივიღებდით.

1984 და 1985 წლებში ვაჭრობის სამინისტრომ გორის, ზუგდიდის და სხვა რაიონებში ასამდე შემოწმება მოაწყო და მხოლოდ რამდენიმე უმნიშვნელო დარღვევა „აღმოაჩინა".

საკმარისი იყო იმავე რაიონებში, იგივე ობიექტებზე შინაგან საქმეთა ორგანოების გამოჩენა, რომ ყველგან 90 პროცენტი სისხლის სამართლის დანაშაულობანი აღმოჩნდა.

ჩვენი მიზანია ნუ მივიყვანთ ადამიანს ციხის კარამდე, მანამდე ვუშველოთ საქმეს. არადა, პროფილაქტიკურ სამუშაოთა ფორმალიზმში, მის უგულებელყოფაში უნდა ვეძებოთ ბევრი უბედურების სათავე.

ჩვენ ხშირად ვხმარობთ ფრაზებს, რომლებიც ისე გავცვეთეთ, რომ შინაარსი დავუკარგეთ. სახელდობრ: „დანაშაულობათა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ვაჭროპის სისტემაში თანამდებობრივი და სამეურნეო რეციდივული გადარბენების მზარდი ტენდენცია მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია მატერიალურ-პასუხისმგებელი და ხელმძღვანელი კადრების შერჩევა-განაწილების პრაქტიკაში დაშვებული სერიოზული დარღვევებით. ხშირია შემთხვევები, როდესაც ასეთ თანამდებობაზე ინიშნებიან ნასამართლევი ან ნდობადაკარგული პირები". ამას ვამბობთ და თითქმის არასოდეს არ ვუმატებთ აუცილებელ სამ სიტყვას — „დანაშაულებრივი კავშირის გზით", რაც არსებითად შეუცვლიდა ნათქვამს შინაარსს. ვის არ სმენია: „მებუფეტის ადგილი ამდენი ღირს", „საწყობის გამგისა — ამდენიო".

სულ ახლახან ქალაქ ქუთაისში ერთ-ერთ რესტორანში ზედმეტი უანგარიშეს მოსმხარებელს 200 (დიახ, დიახ, სიტყვით დავწეროთ — ორასი მანეთი — ასოთამწყობის შეცდომა არ ეგონოს მკითხველს).

ქუთაისში კი რამდენი რევიზია მოწყობილა, ვინ მოთვლის. „თავისი ჩაიჯიბეს და წავიდნენო", — იტყვის მკითხველი და, ალბათ, მართალს იტყვის!

სარევიზიო მაკონტროლებელი ორგანოები ძალზე ცუდად ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს. არადა, როგორ გვერდაუვლელი ხდება გაერთიანება, ღონისძიებათა კოორდინირება და კონსოლიდაცია. ჩავკიდოთ ხელი ხელს და ავარიდოთ საზოგადოებას დანაშაული, ადამიანებს კი ციხე.

ეს განსაკუთრებით ითქმის ვაჭრობის ქსელში მომუშავე ქალებზე. შეიძლება, შეიძლება იმ „რაოდენობის" დანაშაულისათვის ციხეში არ წავიდეს პიროვნება, მას რომ სათანადო, უფრო ზუსტად, საკუთარი, საუწყებო მაკონტროლებელი ორგანოები საკადრისად მეთვალყურეობდნენ, მაშინ დამნაშავესაც მეტი შიში და რიდი ექნებოდა.

უამრავი დარღვევაა საზკვების მთელ სისტემაში, როდემდის გაგრძელდება ასე? ისევ ჩვენ გველოდებით?

გთხოვთ მიიღოთ მტკიცე პარტიული, ადამიანური, პატრიოტული, ხელმძღვანელებისათვის შესაფერისი ზომები მომსახურების სფეროში დარღვევების აღმოსაფხვრელად.

რაც შეეხება ჩვენს პოზიციას, ჩვენ საზოგადოებას შევპირდით და შევასრულებთ კიდეც, კვლავ გავაგრძელებთ აქტიურ ბრძოლას, მაგრამ ცალმხრივი ბრძოლა არაფრის მომტანი იქნება საქმის გამოსასწორებლად...

გთხოვთ, სწორად გამიგოთ: მარტო დაჭერებითა და პასუხისგებაში მიცემით საქმეს არ ეშველება. საჭიროა თქვენი საქმიანი ხელი ამ საკითხების მოწესრიგებისათვის, ჩვენ კი მზად ვართ ჩვენი ხელი გამოგიწოდოთ სისტემაში არსებული ნეგატიური მოვლენების თავის დროზე აღმოფხვრისათვის და მათი წარმომშობი მიზეზების ლიკვიდაციისათვის, რაც თქვენი დარგის ყველა მუშაკმა ძალიან კარგად იცის, მაგრამ მათი ინიციატივა ჯერ არ გვიგრძნია, შეიძლება ითქვას პირიქით, ხელის შეშლა, — რამდენიც გნებავთ.

ერთობითა და თანადგომით კეთდება ყველა დიდი საქმე, მით უმეტეს, თუ ის სახალხოა.

მხოლოდ მაშინ გვეტყვის საზოგადოება მადლობას, მხოლოდ მაშინ ეთქმის ჩვენს საქმეს ხალხის სამსახური...

ნურავინ იფიქრებს, ნურც ჩემი კოლეგა მინისტრები და ნურც მკითხველი, თითქოს სხვის თვალში ბეწვს ვხედავ და საკუთარში — დირეს — ვერა!

მოსაზრება იმის შესახებ, რომ საუწყებო სარევიზიო სამსახურის უკეთ დაყენების შემთხვევაში და საზოგადოებრიობის ერთობლივი კონტროლისას კაპიკიანი „ხალტურის" მკეთებლები გაფრთხილდებიან, დაშინდებიან, დაშინდებიან და ციხეს ასცდებიან, ხოლო ამ დროს შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო ეფექტიანად მიადგება ბობოლა კომბინატორებს და ქორ-ვაჭრებს, ამას წინათ ტელევიზიით გამოვთქვი. ძნელი წარმოსადგენია, რა გამოხმაურება ჰქონდა ამას. და, რა თქმა უნდა, — ძირითადად დადებითი.

სწორედ ამ გარემოებამ გვიკარნახა ღია წერილით მიგვემართა კოლეგებისადმი, ცხადია, იმის იმედითაც, რომ ფართო საზოგადოებრიობაც გაიზიარებდა ამ პოზიციას.

ზოთა გორგოძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი.

ნაბიჯი, რომელიც საფრთხეს ზრდის

ნიუ-იორკი. ვაშინგტონს არ სურს მიაღწიოს რეალურ შედეგებს ბირთვული იარაღის შეზღუდვის დარგში — ასე აფასებენ საღამოაზროვნე ამერიკელები შეერთებული შტატების პრეზიდენტის გადაწყვეტილებას ფაქტობრივად უარი თქვას მე-2 ხელშეკრულების დაცვაზე.

ამ გადაწყვეტილებამ „აშკარად უნდა აგრძნობინოს ყველას, რომ რ. რეიგანი არ არის მზად სსრ კავშირთან სერიოზული მოლაპარაკებისათვის შეიარაღებისადმი კონტროლის თაობაზე, და მას უფრო მეტად აინტერესებს ის, რომ გამოიწვიოს სსრ კავშირი აშკარა და კონტროლს დაუქვემდებარებელ გამალებულ ბირთვულ შეიარაღებაში", — წერს გაზეთი „ფინგერლეიკ ტაიმსში" შეიარაღებისადმი კონტროლის მომხრეთა ასოციაციის პრეზიდენტი, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებისადმი კონტროლისა და განიარაღების საკანონმდებლო ყოფილი დირექტორის მოადგილე სპერჯენ კინი.

შეიარაღებისადმი კონტროლს, ხაზს უსვამს იგი, კიდევ უფრო სერიოზულ დაბრკოლებას უქმნის რეიგანის მიერ წამოყენებული იდეა კოსმოსში „უძლეველი თავდაცვითი ფარის" შექმნის შესახებ. „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის მიზანი, — წერს კინი, ის არის, რომ საბჭოთა კავშირს წაართვას საპასუხო დარტყმის მოყენების უნარი. მაგრამ სწორედ ეს უნარი აკავებს ბირთვულ ომს".

„პრეზიდენტ რეიგანის გადაწყვეტილებამ შეწყვიტოს 1979 წელს დადებული სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულების დაცვა საგონებელში ჩააგდო ბევრი საქმეში ჩახედული ადამიანი, როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში, ისე ჩვენს მოკავშირეებს შორის, — წერს გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ცნობილი მიმომხილველი ენტონი ლუისი. — ამ ნაბიჯის შედეგად იმდენად აშკარა სამხედრო და პოლიტიკური პრობლემები ჩნდება, რომ იგი საღი აზრის აბუჩად აგდებად გვევლინება".

მიმომხილველი უარყოფს მტკიცებებს იმის შესახებ, თითქოსდა საბჭოთა კავშირი არღვევდეს მე-2 ხელშეკრულებას, რომელთა მეშვეობითაც თეთრი სახლი ცდილობს გაამართლოს თავისი პოზიცია. „არავითარი ეჭვი არ არის, — ხაზს უსვამს იგი, — რომ, საბჭოთა კავშირმა გადადგა მნიშვნელოვანი ნაბიჯი, რათა დაეცვა 1972 და 1979 წლების შეთანხმებებით დადგენილი ლიმიტები".

სან-ფრანცისკო. **ამერიკელთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია უნდა შეუერთდეს საბჭოთა კავშირის მიერ გამოცხადებულ ყოველგვარი ბირთვული აფეთქების მორატორიუმს.** როგორც გელაპის ინსტიტუტის მიერ მოწყობილმა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვამ ცხადყო, შეერთებული შტატების მოქალაქეთა დაახლოებით 60 პროცენტი დაბეჯითებით მოითხოვს დაუყოვნებლივ შეწყდეს ბირთვული გამოცდა ამერიკაში.

> **აკრიტიკებენ ამერიკის პოზიციას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის მეორე ხელშეკრულების მიმართ**

განმარტავს რა კვლევის შედეგებს, გაზეთი „მერკური „ნიუსი" ხაზს უსვამს, რომ ბირთვულ აფეთქებათა აკრძალვას მოითხოვენ სულ სხვადასხვა პოლიტიკური მრწამსის ადამიანები.

ლონდონი. **გაზეთი „ტაიმსის" ფურცლებზე ამერიკის შეერთებული შტატების საგარეო-პოლიტიკური კურსი ბრალდებულ იქნა ინგლისის დაგმო დიდი ბრიტანეთის ცნობილმა პოლიტიკურმა მოღვაწემ ლორდმა კენტმა.** „რეიგანის ადმინისტრაცია, — ხაზს უსვამს იგი, — მე-2 ხელშეკრულების დაცვაზე თავისი უარის გამართლებას ცდილობს იმით, რომ ამტკიცებს თითქოს სსრ კავშირი არღვევდეს მიღწეულ მორიგებებს, რასაც ჩვენ, ევროპელები, ვერა ვგრძნობთ". ხატოს წევრ ქვეყნებში ამ აქციასთან ერთად უკმაყოფილებას იწვევს ლიბიის ქალაქების ტრიპოლისა და ბენგაზის დაბომბვა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან ერთად აინტანგორიულ დაჯგუფებათა მხარდაჭერა, მზადება „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" რეალიზაციისათვის, რომლის მიზანია ჩაშალოს ხელშეკრულება რაკეტასწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ და შეუძლებელი გახადოს შეიარაღების შემცირების პროცესი.

ამერიკის ადმინისტრაცია „აგდებულად ეკიდება მშვიდობის საკითხებს, თავის მოკავშირეთა ინტერესებს და საერთაშორისო სამართლის ნორმებს", აღნიშნავს ლორდი კენტი. ამას შედეგად მოჰყვა საერთაშორისო ვითარების მკვეთრი გართულება. ახლა სწორედ დასავლეთმა უნდა შეიცვალოს პოზიცია.

ბონი. **ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ესწრაფვის არა შეიარაღებისადმი კონტროლის დაწესებას, არამედ შეიარაღების ზრდას.** ამერიკის მხარის პოზიცია მოწმობს, რომ ვაშინგტონის პოლიტიკის მთავარი მიზანი იყო და არის შეიარაღებისადმი კონტროლზე უარის თქმა. ასეთი დასკვნა გამოაქვს დასავლეთ გერმანიის გავლენიან გაზეთს „ციტს", რომელიც აანალიზებს რ. რეიგანის გადაწყვეტილებას უარი თქვას საბჭოთა კავშირ-ამერიკის მე-2 ხელშეკრულების დაცვაზე.

ამერიკის ადმინისტრაციის მოქმედება, აღნიშნავს გაზეთი, მიზნად ისახავს „მოიშოროს უკანასკნელი ხუნდები, რომლებიც ხელს შეუშლიდა მისი სამხედრო პროგრამების რეალიზაციას". პრეზიდენტ რეიგანსა და თავდაცვის მინისტრს უანინბერგერს არაერთგზის აღუნიშნავთ ხაზგასმით, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაიცავს საბჭოთა კავშირ-ამერიკის შეთანხმებებს შეიარაღებისადმი კონტროლის შესახებ „მხოლოდ იქამდე, სანამ ისინი არ გაუხდება დაბრკოლებად მის მთავარ ჩანაფიქრს „ვარსკვლავეთის ომების" პროექტს.

მადრიდი. **პრეზიდენტ რეიგანის მიერ გამოცხადებული შეერთებული შტატების უარი დაიცვას მე-2 ხელშეკრულება, მოწმობს, რომ ვაშინგტონის ადმინისტრაცია ადგას კურსს, რომელიც კაცობრიობას თავს დაატეხს ბირთვულ კატასტროფას, განაცხადა საკდისის კორესპონდენტისათვის ინტერვიუში ეხანენთის მუშათა კომისიების პროფკავშირული კონფედერაციის გენერალურმა მდივანმა მარსელინო კამაჩომ.** მან აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები არა თუ უარყოფს ახალ კონკრეტულ საბჭოთა ინიციატივებს, რომლებიც ხელს უწყობენ დაძაბულობის შენელებას საქმეს და კაცობრიობის მოსპობის საფრთხის აღკვეთას, არამედ აუქმებს კიდეც ზნეთ მიღწეულ შეთანხმებებს, რომლებიც აბრკოლებენ სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შემდგომ ზრდას.

სტოკჰოლმი. **ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაცია სულაც არ არის დაინტერესებული იმით, რომ აწარმოოს სერიოზული მოლაპარაკება შეიარაღების შეზღუდვის საკითხებზე. მისი მიზანია მიაღწიოს გლობალურ სამხედრო უპირატესობას, წერს შვეციის გაზეთი „არბეტარტიდენ�-ნიუ-დაგი".** მე-2 ხელშეკრულების დაცვაზე უარის თქმას, აგრეთვე „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის რეალიზაციას, რომელიც საფრთხეში აგდებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულებას რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემათა შეზღუდვის შესახებ, შედეგად მოჰყვება მხოლოდ გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი.

ბერნი. **ამერიკის ადმინისტრაციის განზრახვა უარი თქვას მე-2 ხელშეკრულების დებულებათა დაცვაზე — ეს არის არა ერთეული ღონისძიება, არამედ იმის დამტკიცებელი საბუთი, რომ ამერიკის შეერთებული შტატები აგრესიულ პოზიციას ადგას შეიარაღებისა და განიარაღების საკითხში, წერს გაზეთი „ტაგეს ანციაგერ ციურიხი".**

ასეთი გეზი საფრთხეს უქმნის განიარაღების საკითხზე მოლაპარაკების წარმატების შანსებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირ-ამერიკის მეორე უმაღლესი დონის შეხვედრას უკავშირდნენ. საბოლოო ანგარიშით, ამან შეიძლება გამოიწვიოს ძვირადღირებული და ფართო მასშტაბის გამალებული შეიარაღების ახალი რაუნდი, რომელიც არავის სჭირდება.

● აშშ-იორდანია

შემდეგი მოლაპარაკება

ვაშინგტონი. **უშედეგოდ დამთავრდა თეთრ სახლში პრეზიდენტ რეიგანის მოლაპარაკება იორდანიის მეფე ჰუსეინთან, რომელიც აქ ოფიციალურ ვიზიტად ჩამოვიდა.**

ადმინისტრაციის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ცდა — მოაწყოს იორდანია-პალესტინის ერთობლივი დელეგაციის პირდაპირი მოლაპარაკება ისრაელთან — ჩაიშალა. როგორც ასოშიეიტედ პრესის საინფორმაციო საგენტო აღნიშნავს, ორი ქვეყნის ხელმძღვანელებმა ვერ მიაღწიეს რაიმე ძვრას ახლო აღმოსავლეთის პრობლემის მოწესრიგების პროცესში, რომელიც ბოლო წლებში ერთ წერტილზეა გაყინული. ამის მთავარი მიზეზია ოფიციალური ვაშინგტონის პოზიცია, რომელიც ისრაელთან ერთად ხელს უშლის ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის სამართლიანი მოწესრიგების მიღწევას.

● თურქეთი

ასამართლებენ აზიზ ნესინს

ანკარა. **სახელმწიფო უშიშროების სასამართლო შეუდგა ცნობილი თურქი მწერლის აზიზ ნესინის საქმის განხილვას ლიტერატურული საღამოების მოწყობის ბრალდების გამო.**

შარშან წლის დამლევს „ექონ დანიშმანლიქ ბილიარ ა. შ." კომპანია, რომლის გამგეობის თავმჯდომარეც არის ა. ნესინი, ანკარისა და სტამბოლის მთელ რიგ დიდ კინოთეატრებსა და თეატრებში შეუდგა კონფერენციებისა და ლიტერატურული საღამოების მოწყობას, რომელთა დროსაც, აუდიტორიის წინაშე უნდა გამოსულიყვნენ თურქი პროგრესული მწერლები, ჟურნალისტები, ხელოვნების მოღვაწენი. იმის საბაბით, რომ წინასწარ არ იყო გამოცხადებული ამ საღამოების მოწყობის თარიღი და ადგილი, აგრეთვე საგანგებო წესების მოქმედ კანონებზე დაყრდნობით, ხელისუფლებმა აკრძალეს ეს ღონისძიებანი და სამი დღით დახურეს თეატრალური და საკონცერტო დარბაზები. ერთდროულად დაიწყო სასამართლო გამოძიებაც.

როგორც გაზეთი „საბაჰი" იუწყება, სახელმწიფო უშიშროების სასამართლოს პროკურატურა მოითხოვს აზიზ ნესინს, ექიმ ბილიარსა და ანკარის სამხატვრო თეატრის დირექტორ რუთქაი აზიზს პატიმრობა მიუსაჯონ.

● ინგლისი-ჩინეთი

ხელი მოაწერეს მემორანდუმს

ლონდონი. **ლონდონში ოფიციალურ ვიზიტად ჩასული ჩინეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ჰუ იაობანი შეხვდა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრს მარგარეტ ტეტჩერს.**

როგორც იუწყებიან, საუბრის დროს განიხილეს ინგლის-ჩინეთის ურთიერთობის ახლანდელი მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხები. ხელი მოაწერეს ინგლის-ჩინეთის „მემორანდუმს ურთიერთგაგების შესახებ" მომავალ ათწლეულში დიდ ბრიტანეთში ჩინელ სტუდენტთა სწავლების პროგრამის ერთობლივი დაფინანსების საკითხში.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი.** **შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს კვლავინდებურად დაიკავოს ობსტრუქციონისტული პოზიცია და ხელი შეუშალოს პოზიტიური შედეგების მიღწევას სტოკჰოლმის კონფერენციაზე. როგორც პრეზიდენტის პირადი წარმომადგენლის განცხადებიდან ჩანს, ამერიკის შეერთებული შტატებს ადმინისტრაციის პოზიციაში არავითარი ცვლილებები არ მომხდარა.**

◆ **ლონდონი.** **ლეიბორისტთა პარტიის ეროვნულმა აღმასკომმა დაგმო ამერიკის ადმინისტრაციის განზრახვა შეუდგეს ახალი თაობის ქიმიური იარაღის წარმოებასა და მის განლაგებას დასავლეთ ევროპის ქვეყნების ტერიტორიაზე. აქ გამართულ სხდომაზე პარტიის ხელმძღვანელმა ორგანომ ერთსულოვნად დაადგინა, რომ მომავალი ლეიბორისტული თავრობა „არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ამერიკული ქიმიური იარაღის განლაგებას ბრიტანეთის მიწაზე".**

◆ **ტოკიო.** **ოსაკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აქ გამოქვეყნებული ეკონომიკური პროგნოზის თანახმად, უახლოეს წლებში იაპონიაში განსაკუთრებით მწვავედ იჩენს თავს იენის კურსის მკვეთრი ზრდის შედეგები, რომელიც გამოიწვია ამერიკის შეერთებული შტატების სავალუტო-ფინანსურმა მაქინაციებმა.**

ფოტოკალეიდოსკოპი

● ეგვიპტის ტურიზმის სამინისტრომ შეიმუშავა კაიროს გიზის გარეუბანში მდებარე მსოფლიოში ცნობილი პირამიდებისა და სფინქსის (სურათზე) რეკონსტრუქციის გენერალური გეგმა. პრესის ცნობით, იგი ითვალისწინებს პირამიდების მახლობლად აღმოჩენილი მთელი რიგი სამარხების რესტავრაციას, რამდენიმე ტურისტული სოფლისა და ისტორიული მუზეუმის შექმნას, რომლის ექსპოზიციის მთავარი შემადგენელი ნაწილი იქნება ამ რაიონში აღმოჩენილი არქეოლოგიური საგნები და ნივთები.



● შვეიცარიის საათების მრეწველობა სერიოზულ სიძნელეებს განიცდის. იგი გამოიწვია იმან, რომ მსოფლიოს ბაზრებზე გასაყიდად გამოაქვთ შვეიცარიის სახელგანქმული ფირმების მარკით დამზადებული. ყალბი საათები. საქმის გამოსასწორებლად ფირმები დიდძალ თანხას ხარჯავენ რეკლამაზე. სამი სარეკლამო საპაერო ბურთი, რომლებსაც შვეიცარიული საათების ფირმა აქვთ, დაამზადეს იაპონიაში, რათა მიიზიდონ მყიდველები იაპონიის ბაზარზე. სურათზე: ერთ-ერთი ასეთი სარეკლამო საპაერო ბურთი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთაშორისო კომენტარი

ვინ აღვივებს ანტისირიულ კამპანიას?

ამ ბოლო დროს დასავლეთის გაზეთების ფურცლები აჭრელებულია იმ ინფორმაციებით, რომ მოსალოდნელია ახალი ხაომარი მოქმედება ახლო აღმოსავლეთში. ამჯერად მსჯელობის საგანი გახდა სირია. ამერიკის მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი აქ ყველას წინ უსწრებენ. გაზეთი „ვაშინგტონ პოსტი" ადგენს სირიისა და ისრაელის სამხედრო ძალიერების შედარებით ცხრილებს, იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგენტო ავრცელებს ხმებს ლიბანის ბექაას ველზე სირიის ჯარების გადაადგილების შესახებ, ბოლო ჟურნალი „ნიუსუიკი" აანალიზებს კიდეც სირიის არაბთა რესპუბლიკის ეკონომიურ შეერთებულ ფასეულობათა ნაკლებობას, ბოლო ინფორმაციის ეკონომიურ

პრობლემები და განსჯა

ᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ ᲫᲣᲜᲬᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ...

ᲓᲐᲓᲐᲪ მუსიკაა, იქ ცუდს რა უნდა? დიდი სერგანტესის ამ ცნობილი გამონთქვამის უარყოფას ცდილობენ რესპუბლიკის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ხმის ჩამწერი სტუდიების მუშაკები. მუსიკალურ მოდას გამოდევნებულნი, ისინი უპირატესობას ანიჭებენ საზღვარგარეთის ესტრადის საკმაოდ მდარე ნიმუშებს, კატალოგების მრავალი ასეული პწკარიდან საბჭოთა ესტრადას მხოლოდ ათეული პწკარს თუ უთმობენ.

ამ სტუდიების, სალონების, ზოგჯერ კი ბაზრებსა და მიწისქვეშა გადასასვლელებში განლაგებული ჯიხურების პერსონალს ვერ ვუსაყვედურებთ კატალოგების სიმწირეს. აქ ნახავთ ცნობილი ლივერპულის ოთხეულის მელოდიების სრულ კრებულს, იტალიის, ნიდერლანდის, ესპანეთის, შვეიცარის ესტრადის ოსტატთა სიმღერების ფონოგრამებს... ამ მრავალენოვან ზღვაში ობლად მოჩანს ალა პუგაჩოვას და ვახტანგ კიკაბიძის, ვალერი ლეონტიევისა და თამარ გვერდწითელის და კიდევ საბჭოთა ესტრადის სულ რამდენიმე სოლისტისა და ანსამბლის სიმღერების ჩანაწერები.

მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ასსამოცდათვრამეტიე ხმის ჩამწერ ობიექტში, რომლებიც უხვად არის საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ფონოგრამის კატალოგები თითქოს პირგადასაღები ქაღალდით არისო გადაწერილი და განსხვავდებიან მხოლოდ ფონთოკების მოცულობით. კლიენტები, რომლებსაც სურთ აქ საოპერო ან სიმფონიური კლასიკის, ფოლკლორული მუსიკალური ნაწარმოებების, სხვადასხვა სასწავლო პროგრამის ჩანაწერის შეძენა, ნონგრატა პერსონებად არიან მიჩნეული. დიპლომატიური თავაზიანობის გარეშე უარით ისტუმრებენ იმათაც, ვისაც სურს შეიგსოს შინაური ფონთოეკა ბერნესისა და უტოსოვის, დები იშხნელების, ახალგაზრდა მომღერლების გეორგიადისა და რიმბაევას, გრადსკისა და კარჩენცევის, ბეგრი სხვა ჩვენი შემსრულებლის სიმღერებით.

საშუალოდ ხმის ჩაწერის თითოეულ ობიექტს თავის კატალოგში შეაქვს ვოკალისტებისა და ანსამბლების სულ ოთხასი-ხუთასი დასახელების კონცერტი.

— არავითარი აზრი არა აქვს კატალოგის გაფართოებას, — მიუჩინია თბილისში, ჯორჯაძის ქუჩაზე განლაგებული ხმის ჩამწერი სტუდიის ოპერატორს ომარ იოსებაშვილს. — ფონთოეკას მე, ისევე, როგორც ყველა ჩემი კოლეგა, საკუთარი სახსრებით ვადგენ. მაგნიტოფონის ფირს გყიდულობთ მაღაზიებში, ფონოგრამებს კი — ვისაც როგორ შეუძლია... რამდენიც მახსოვს, ხმის ოპერატორად კი უკვე დიდი ხანია ვმუშაობ, ცენტრალიზებულად ჯერ არც ერთხელ არ მოუწოდებიათ ჩვენთვის საწყისი მასალა.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში ხმის ჩამწერ სტუდიების კატალოგებში შეაქვთ ხხოლოდ ყველაზე მოდური, მაგრამ განა ხმოლოდ მოდური? მათი ოპერატორები, რომლებიც ცდილობენ შეასრულონ წლეთი-წლობით მზარდი გეგმა, აყალიბებენ რეპერტუარს შემთხვევითი მოსაზრებით, აკეთებენ მას უწინარეს ყოვლისა მოდური — ესი იგი საზღვარგარეთული ჩანაწერებით. ისინი არ უკვირდებიან იმპორტული შლაგერების შინაარს, და მითუმეტეს საზღვარგარეთული ფრამფირფიტებისა და კასეტების ატრიბუტიკას. და ამიტომ რეპერტუარში გვხვდება ხოლმე საეჭვო „ნაწარმოებები“.

ოპერატორებს კი რა უნდა მოჰკითხოს ,ალმა. მათ არა აქვთ სპეციალური მომზადება. აბა, რას ეტყვი, მაგალითად, გუშინდელ ზეინკალს ან ტრაქტორისტს. იმათ მორის კი, ვინც მუშაობს ბეგრ ხმის ჩამწერ სტუდიაში, ასეთებიც არიან. ისინი ხხოლოდ ტექნიკური შემსრულებლები არიან და, მაშასადამე, პასუხს არ აგებენ იმისათვის, რასაც იწერენ თავიანთი „შარპ“, „სონი“, „ჯივი-სი“ და სხვა მარკების აპარატურაზე.

იქნებ ხელს აძლევს ვინმეს ასეთი ხელშეშვებულობა საქვეუწყებო სტუდიებში — ძირითადად ფინანსური მოსაზრებებით? სამინისტრო ხომ პრაქტიკულად არ იღებს ხარჯებს სტუდიებისათვის ხმის ჩამწერი აპარატურის, ფონოგრამებისა და მაგნიტოფონის ფირის შესაძენად. ზოგჯერ თუ შეიწუხებს თავს სათავისის გამოსაყოფად. სამაგიეროდ კი ყოველწლიურად იღებს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთლიანი მოცულობის მატებას ხულ ცოტა მილიონი მანეთის ოდენობით, ეს კი გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე მოქალაქეთა ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ან თეთრეულის რეცხვის მოგვარება, ზრუნვა დარგის მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის.

სისტემის ფინანსური კეთილდღეობის გაუჭობესებისადმი ასეთი გაუბრალოებული მიდგომის დროს დანაკარგების თავიდან აცილება შეუძლებელია. ამასთან ეს არა იმდენად ეკონომიკური, რამდენადაც ზნეობრივი დანაკარგებია. ბურუჟაზიული ცხოვრების წესის ერთ-ერთი აპოლოგეტი დაჟინებით იმეორებდა, სოციალიზმის წინააღმდეგ იდეოლოგიური დივერსიებისათვის დახარჯული თითოეული დოლარი ეფექტიანობით ტანკებისათვის, ზარბაზნების, თვითმფრინავებისა და რაკეტებისათვის დახარჯული ათი დოლარის ტოლფასიაო, ამიტომ არის, რომ იმპერიალიზმის ტრუბადურები დღეს ასე ჯიუტად ცდილობენ სოციალისტურ ქვეყნებში გაავრცელონ გრამფირფიტები, კასეტები, პროსპექტები, პლაკატები და სხვა პროდუქცია, რომელიც რეკლამას უწევს ეგრეთ წოდებულ პოპ-მუსიკას, მუსიკას, რომელიც ესთეტიკურად ხრწნის ახალგაზრდობას, წამლავს მას უხეშმსობით, უზნეობით. ხმის ჩამწერი სტუდიების კატალოგებში ერთ დროს გამოჩნდა საზღვარგარეთული ანსამბლი „ბ-52-ც“. მისმა შემსრულებლებმა დაირქვეს იმ ამერიკული სტრატეგიული ბომბდამშენის სახელი, რომლიდანაც ნაპალმიან ბომბებს უშენდნენ მრავალტანჯული ვიეტნამის მიწა-წყალს. ბუნებრივია, რომ ამ ანსამბლის სიმღერები შორს დგას ნამდვილი ხელოვნებისათვის დამახასიათებელი ჰუმანიზმის იდეალებისაგან. საბოლოო ანგარიშით გამოდის, რომ სულაც არ ყოფილა უვნებელი ყველა ეს შლაგერი. თავად განსაჯეთ: ანსამბლ „კისის“ სარეკლამო პლაკატებსა და გრამფირფიტებზე ვხედავთ ესესელთა ემბლემას — ორ ელვას...

მთელი ამ მუსიკალური შენაითხნის ხმის ამყოლია ვინმე ტოკარევი, რომელიც ხოტბას ასხამს ქურდულ უხამსობას. ბოდვეის მუსიკალური ჯურღმულების ეს ბარდი არც დღევანდელ დღეს ტოვებს უყურადღებოდ, ხედავს მას სამოწყალოდ ნაბოძები დოლარებით ნაყიდი სათვალის შუქფილტრებით, „არაყი ყველა წამალსა სჯობს“, — გაიძახის „ბომფერალი“. ან კიდევ უარესი: „რად გვინდა ძუწი ცხოვრება, ხვალ ხომ შეიძლება ომი დაიწყოს“...

შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ხელმძღვანელობა ვერ ხედავს ხმის ჩამწერი სტუდიების მუშაობის უარყოფით მხარეებს. ხორციელდება მისი მოწესრიგება, გაუმჯობესების ღონისძიებანი. მაგალითად, შარშან ზაფხულში შეადგინეს რესპუბლიკის ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, — თქვა კულტურის მინისტრმა ვ. რ. ასათიანმა. — ჩვენი სამინისტროც, რომელიც აყალიბებს და წარმართავს რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებას, აგებს პასუხს იმისათვის, თუ რა მელოდიები და სიმღერები გვესმის მატარებლებში, ავიალაინერების სალონებში, კაფეებსა და რესტორნებში, სტადიონებზე და ხმის ჩამწერ სტუდიებში. ამის გათვალისწინებით მზად ვართ არა მარტო კონტროლი დავუწესოთ ხმის ჩამწერ სტუდიებს, არამედ დავეხმაროთ კიდეც მათ რეპერტუარის მოწესრიგებაში. ამასთან ჩვენი და საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს თანამშრომლობის რეალიზაცია ეტაპობრივად გვესახება. მაგალითად, მიზნეშეწონილია პირველ ხანებში გავინაწილოთ ფუნქციები: საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მუშაკებს დაეუტოვოთ ტექნიკური და ფინანსური პრობლემები, ხოლო კულტურის სამინისტროს გადავცეთ ორგანიზაციულ-მეთოდიკური ფუნქციები.

გადაუჭრელად არ გვესახება არც ბიბლიოთეკების მაგალითი-სამებრ ცენტრალიზებული ფონოთეკის შექმნის პრობლემა. თბილისში არის გრამფირფიტის სახლი, რომელიც ასრულებს საბითუმო ბაზის ფუნქციებს, არის ფირმა „მელოდიის“ ფილიალი. ვფიქრობ, ორ სამინისტროს შეუძლია იპოვოს მუსიკის ასეთი „ბიბლიოთეკის“ შექმნაში თანამშრომლობის ურთიერთმისაღები გზები. ვიმედოვნებ, რომ რთული არ იქნება არც ფირფიტის გამოშვებასა და ხმის ჩამწერ სტუდიებში შესაბამისი ანალოგის გაჩენას შორის ინტერვალის შემცირება. აქ ჩვენ სამინისტროს ამავე დროს მეტი შესაძლებლობა მიეცემა უფრო აქტიურად გაუწიოს პროპაგანდა საბჭოთა ესტრადის ნაწარმოებებს, ჩამოუყალიბოს მუსიკის მოყვარულებს გემოვნება, დააკმაყოფილოს მათი მოთხოვნა.

ერთი რამ ნათელია: დროა სიტყვიდან საქმეზე გადავიდეთ. პრობლემა ხომ დიდი ხანია კარგად არის ცნობილი. მის გადაჭრას ხელს უშლიდა უწყებრივი ბარიერები. საჭიროა მათი დაძლევა. რა თქმა უნდა, გაცილებით უფრო ადვილია ზოგიერთი რამ ავუკრძალოთ სტუდიებს, ზოგიერთი რამ-გამოკრიცხოთ, მაგრამ მხოლოდ აკრძალვითი ღონისძიებებით იქ წესრიგი ვერ დამყარდება.

ა. კოჩეტკოვი,
საქინფორმის კორ. — „კომუნისტისათვის“

ᲛᲔᲥᲡᲘᲙᲘᲡ ᲪᲐᲚᲦᲐᲖᲔ

ᲠᲘᲡᲙᲛᲐ ᲒᲐᲐᲛᲐᲠᲗᲚᲐ

ᲒᲗᲐᲕᲐᲖᲝᲒᲗ ფეხბურთელთა XIII მსოფლიო ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირების მესამე ტურის 2 მატჩის შედეგებს:

მატჩი № 25. III ჯგუფი. 9. VI. ლეონი. უნგრეთი-საფრანგეთი — 0:8 (0:1).

№ 26. III ჯგუფი. 9. VI. ირაპუატო. სსრ კავშირი-კანადა — 2:0 (0:0). ბურთები გაიტანეს ბლოხინმა და ზავაროვმა. საბჭოთა ნაკრების შემადგენლობა ამჯერად ასეთი იყო: ჩანოვი, ბალი, კუზნეცოვი, ბუბნოვი, მოროზოვი, ლატოვჩენკო, ალეინიკოვი, როდიონოვი, ევტუშენკო, პოტაპოვი (ბელანოვი), ბლოხინი (ზავაროვი).

ახლა კი გავეცნოთ მესამე ჯგუფში მოსპარეზე გუნდების გათამაშების საბოლოო ცხრილს:

	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
სსრ კავშირი	2	1	0	9-1	5
საფრანგეთი	2	1	0	5-1	5
უნგრეთი	1	0	2	2-9	2
კანადა	0	0	3	0-5	0

გუშინ გვიან საღამოს დამთავრდა სამხრეთ კორეა-იტალიის და არგენტინა-ბულგარეთის გუნდების მატჩები. დღეს გაიმართება ერაყ-მექსიკის და პარაგვაი-ბელგიის ნაკრები კოლექტივების შეხვედრები.

მესამე ჯგუფში, სადაც სსრ კავშირის ნაკრები გამოდიოდა, მართალია შეჯიბრება დამთავრდა, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ ორი გუნდი გამოვლინდა, რომლებიც ოქროს თასისთვის გაგრძელებენ ბრძოლას. ესენი არიან საბჭოთა და ფრანგი ფეხბურთელები. მესამე საგზური შესაძლებელია მიიღოს უნგრეთის ნაკრებმა, მაგრამ ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი შედეგებით დამთავრდება შეჯიბრებები დანარჩენ ხუთ ჯგუფში. ყოველივე ნათელი გახდება 13 ივნისს, როცა ჯგუფური ტურნირების ბოლო მატჩები გაიმართება. ასეა თუ ისე, გუნდებისათვის, რომლებიც ირაპუატოში და ლეონში თამაშობდნენ, მსოფლიო ჩემპიონატის პირველი ეტაპი დამთავრდა.



სურათზე: ს. როდიონოვი (მარჯვნივ) და რ. სამუელი იბრძვიან ბურთისათვის.

საკდეს-საქინფორმის ტელეფოტო.

მ ა ტ ჩ ი ს შ ე მ დ ე გ

3. ლობანოვსკი (სსრ კავშირის ნაკრების უფროსი მწვრთნელი): ამჯერად შემადგენლობაში შევიყვანეთ გუნდის სხვა წევრები. მიმდინარე პირველობის მსვლელობის გზაზე საჭირო იყო ძალთა სწორი განაწილება. ამ მოქმედებას ნუ ჩაგვითვლით კანადელ ფეხბურთელთა ძალების შეუფასებლობად. ჩემპიონატის დაწყების წინ ჩვენ ფავორიტების რიცხვში არ ვიყავით, მაგრამ ეს მცდარი შეხედულება იყო და დავამტკიცეთ კიდეც, რის შემძლენი ვართ. პირველი ამოცანა — გაგვემარჯვა ჯგუფურ ტურნირში — გადავწყვიტეთ.

ტონი უაიტერსი (კანადის ნაკრების უფროსი მწვრთნელი): საბჭოთა ფეხბურთელებმა ჩემზე უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. ისინი კიდევ უფრო უკეთ იასპარეზებენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს წინააღმდეგ საბჭოთა ნაკრები უძლიერესი შემადგენლობით არ გამოსულა, მან მაინც ბრწყინვალედ ითამაშა. მექსიკაში ჩვენ გამოვავლინეთ ყველა შესაძლებლობანი, რომლებიც გვქონდა. ბუნებრივია, გულგატეხილი ვართ, რომ სამ მატჩში ერთი ბურთის გატანაც ვერ შევძელით.

ᲕᲘᲜ ᲕᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲠᲕᲔᲓᲤᲘᲜᲐᲚᲨᲘ?

I მატჩი (15 ივნისი, მეხიკო). II ჯგუფში გამარჯვებული შეხვდება I, III ან IV ჯგუფში III ადგილზე გამოსულ ერთ-ერთ გუნდს.

II მატჩი (15 ივნისი, ლეონი). III ჯგუფში გამარჯვებული — I, II ან VI ჯგუფში III ადგილზე გამოსულ ერთ-ერთ გუნდს.

III მატჩი (16 ივნისი, პუებლა). I ჯგუფში გამარჯვებული — III, IV ან V ჯგუფში მესამე ადგილზე გამოსულ ერთ-ერთ გუნდს.

IV მატჩი (16 ივნისი, გვადალახარა). IV ჯგუფში გამარჯვებული — II, V ან VI ჯგუფში III ადგილზე გამოსულ ერთ-ერთ გუნდს.

V მატჩი (17 ივნისი, მეხიკო). I ჯგუფში II ადგილზე გამოსული — III ჯგუფში II ადგილზე გამოსულს.

VI მატჩი (17 ივნისი, მონტერეი). VI ჯგუფში გამარჯვებული — V ჯგუფში II ადგილზე გამოსულს.

VII მატჩი (18 ივნისი, მეხიკო). VI ჯგუფში II ადგილზე გამოსული — II ჯგუფში II ადგილზე გამოსულს.

VIII მატჩი (18 ივნისი, კერეტარო). V ჯგუფში გამარჯვებული — IV ჯგუფში მეორე ადგილზე გამოსულს.

მ ე დ ლ ე ბ ი თ ბ რ უ ნ დ ე ბ ი ა ნ

ჩვენი გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალაქ პერმში გამართულ სამბისტოა საკავშირო ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **პაატა ბუზარიაშვილი** (82 კგ). დამატებით იმასაც გაცნობებთ, რომ უმძიმეს წონაში კარგად იასპარეზა **მალხაზ ბერუაშვილმა**. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში მისი მეტოქე იყო საკმაოდ გამოცდილი ლენინგრადელი მიხეილ ფროლოვი. მალხაზმა შეუპოვრად იბრძოლა და ბრინჯაოს მედალს დაესაკუთრა. გარდა ამისა, საუცხოოდ იასპარეზა ჩვენმა მინსკელმა თანამემამულემ **გოჩა მძელურმა** (90 კგ-მდე წონა). მან ფინალში სძლია სსრ კავშირის ცხრაგზის ჩემპიონს, ომსკელ ალექსანდრე პუშნიცას.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲐᲤᲠᲝᲜᲝᲒᲐ. ქალაქ კლაიპედაში გრძელდება საკავშირო თასების გათამაშება. „ვარსკვლავის“ კლასის ნავებით მოსპარეზეთა შორის 4 რბოლის შემდეგ ლიდერობს ს. ხორეეცის ეკიპაჟი (ბელორუსია) — 9,0 ქულა. მეორე ადგილზეა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი გ. ბიგანშვილი — 11,4, მესამეზე — ლენინგრადელი ვ. სოლოვიოვი — 14,4.

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ. პირველი ლიგის გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურის შემდეგ 21 ქულით ლიდერობს რიგის „დაუგავა“. ლენინგრადის „გურია (18 ქულა) მეხუთე ადგილზეა, ბათუმის „დინამო“ — მეშვიდეზე (17 ქულა). მეთხუთმეტე ტურში „გურიამ“ მასპინძლად დაამარცხა ზაპოროჟიეს „მეტალურგი“ — 3:0, ბათუმის „დინამომ“ კი შეხვედრა წაგო რიგაში ადგილობრივ „დაუგავასთან“ — 0:2.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 10086

ᲛᲔᲓᲚᲔᲑᲘᲗ ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲘᲐᲜ

ᲩᲕᲔᲜᲘ გაზეთის მკითხველებმა უკვე იციან, რომ ქალაქ პერმში გამართულ სამბისტოა საკავშირო ჩემპიონატში პირველ ადგილზე გამოვიდა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი **პაატა ბუზარიაშვილი** (82 კგ). დამატებით იმასაც გაცნობებთ, რომ უმძიმეს წონაში კარგად იასპარეზა **მალხაზ ბერუაშვილმა**. მესამე ადგილისთვის ორთაბრძოლაში მისი

სურათებზე: ინჟინერი ლ. ჭინჭარაული ამოწმებს მზის ენერგიით გამთბარ აუზის წყალს; ინდივიდუალური მზის ბელიოდანადგარი; ექსპერიმენტული „მზის სახლი“.

ავტორის ფოტო.

ᲘᲮᲐᲠᲔ, ᲭᲔᲠᲝ!

მრავალი შვილი

ᲔᲠᲘᲡ ᲥᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲐ

ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘ, როცა სქურიაში ჩვენი ეზო ყვავილებით გადაიპენტებოდა, ნაზამთრალი სკა გამოცოცხლებას იწყებდა. ფუტკრები ნელა გამოცოცდებოდნენ სამზეოზე, აიწურავდნენ, მზეს მიუშვერდნენ სუსტ ფრთებს, ძალას მოიკრებდნენ და ყვავილებს მოედებოდნენ.

მოხუცი მამაც ფრთხილად გადაბიჯებდა ალაგეს, გადავიდოდა საფუტკრეში და ნელა მიაყურადებდა სკებს, ხვდებოდა კიდეც, გაზაფხულზე რომელი ოჯახი იბერტყებდა და ადრევე იჭერდა თადარიგს, ფუტკრის ახალი ოჯახი შორს რომ არ გახიზნოდა. იქვე საგულდაგულოდ მომზადებულ სკებს ჩაამწკრივებდა...

ეს ამბავი გამახსენდა, როცა სოფელში 12 ვაჟისა და 3 ქალიშვილის აღმზრდელი შურა და ვარდენ ჭითავების ოჯახი მოვინახულე. ამ ოჯახმაც ხომ ფუტკარივით იმრავლა და, როცა ერთ „სკაში“ ვერ მოთავსდნენ, ოჯახის მამამ მისი დიდი ნერჩიდან მიწა აიღო, უფროსი ვაჟიშვილი წინ წაიმძღვარა, მახლობელ ,კოხტა ეზოს შემოუარა, ის მიწა ირგვლივ მოაბნია და სამოსახლოდ მიუჩინა.

ასევე მშობლიურ სოფელში აურჩია სამოსახლო ვარდენმა მომდევნო შვილებს ნოდარსა და ალექსანდრეს. აურჩია და დაარგა — შორს ნუ გაიფანტებით, ახლოს იყავით, ერთმანეთის იმედადო!..

დიდი ხანი არ არის, რაც სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან შინ დაბრუნდნენ 12 შვილის მშობლების — ძველსენაკელ ვაჟა და დარეჯან უჩანეიშვილების უფროსი ვაჟები. მშობლებმაც არ დააყოვნეს, ერთს გვერდით აურჩიეს სამოსახლო, ვაზი და ხეხილიც ჩაყარეს, მეორესაც მახლობლად, ტყე რომ აკრავს და წყაროც ახლოს ამოჩქეფს — იმ ალაგას მიუჩინეს ეზო-ყურე. და ოჯახმაც საახალწლოდ იზეიმა ახალმოსახლეობა დიდებულ კაპიტალურ სახლში, სოფელმა რომ ააშენა.

ახლა ჩვენს რაიონში კი არა, რესპუბლიკაშიც ბევრს აქვს გაგონილი ციზეთელი ვენია და ნელი ღვამბერიების სვებედნიერი ოჯახის ამბავი. 12 შვილს — 7 ვაჟსა და 5 ქალიშვილს რომ უზრდის სამშობლოს. მათ ხომ ახალი სახლის აშენებაში ცნობილი ქართველი დრამატურგი კიტა ბუაჩიძეც დაეხმარა თავისი დანაზოგი ჰონორარით. და მადლიერმა მშობლებმაც ერთ შვილს კიტა დაარქვეს.

— ძველ ოდას ნუ დაარღვევთ, ბედნიერი ფუძე-ჭერი აქვს და გაამგრეთო — შემოუთვალა პატივცემულმა კიტამ ღვამბერიების ოჯახს...

ცხაკაიას რაიონში ახლა შვიდაზე მეტი მრავალშვილიანი ოჯახია, რომლებიც ორიც და მეტ შვილს უზრდიან ქვეყანას. გმირი დედის ორდენი 22 დედას უმშვენებს მკერდს. ბევრ მრავალშვილიან ოჯახს სოფელი, ხალხი უშენებს სახლებს. შეპყურებ ახალ ფუძეებს, კონტად შემოღობილ ბაღ-ბოსტნებს და შენდაუნებურად გახსენდება გიორგი ლეონიძის ჯავარიანი სტრიქონები:

ხეხილის შტო მსხმოიარობს,
ვაზი შვენის შესახედად,
ცოტანი ვართ ქართველები,
გაგვიმრავლე, თამარ დედა!

ბ. შენგელია,
ცხაკაიას რაიონული გაზეთის „კოლხეთის“ რედაქტორის მოადგილე.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘᲐ
380009, ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-96. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. 14.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ:
ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-93-03, 99-03-09, Ა/ᲛᲓᲒᲘᲜᲘᲡ — 99-72-80, ᲡᲐᲛᲓᲒᲘᲜᲝᲚᲘ — 99-66-10, ᲒᲐᲜᲪᲮᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ — 99-87-61, ᲛᲐᲠᲥᲡᲘᲡᲢ ᲣᲚᲘᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲞᲐᲒᲐᲜᲓᲘᲡ — 93-95-20, ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ — 99-52-46, ᲛᲠᲔᲕᲚᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲜᲡᲠᲝᲢᲘᲡ — 93-20-34, ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲣᲨᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ — 93-18-70, ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ, ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ — 93-27-58, ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ — 99-55-01, ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ — 93-22-93, ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 93-16-90, ᲣᲪᲮᲝᲗᲘᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ — 99-60-21, ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲐ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ — 99-73-24, ᲘᲜᲤᲣᲚᲐᲠᲘᲪᲘᲘᲡ — 93-23-54, ᲡᲐᲮᲚᲗᲐᲛᲭᲝᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲦᲔᲑᲘᲡ — 93-95-24.
ᲡᲐᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲝ ᲞᲣᲜᲥᲢᲔᲑᲘ:
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲐ — 290-68-47; ᲡᲝᲩᲘ — 2-40-19; ᲑᲐᲗᲣᲛᲘ — 3-43-69; ᲩᲘᲜᲗᲐᲚᲘ 2-22-52; ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ — 5-26-36; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘ — 14-27-87; ᲒᲝᲠᲘ — 2-38-10; ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔ — 2-03-15; ᲤᲝᲗᲘ — 5-58-69; ᲖᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ — 6-34-44; ᲖᲔᲚᲔᲜᲣᲩᲩᲘ — 5-56-36; ᲗᲘᲚᲐᲕᲘ — 3-12-09; ᲧᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝ — 23-66; ᲩᲘᲑᲣᲚᲘ — 25-32.

ᲛᲖᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

ᲤᲝᲢᲝ-ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲡ რესპუბლიკაში ამ ბოლო წლებში მოეწყო დიდი და საინტერესო ექსპერიმენტი მზის ენერგიის პრაქტიკული გამოყენებისათვის.

ამ საინტერესო წამოწყებას სათავეში ჩაუდგა „საქმთავარმონტაჟსპეცმშენის“ სამონტაჟო სამმართველო „სპეციალიზებომონტაჟი“, რომლის ექსპერიმენტულ წარმოებაში უკვე სერიულად მზადდება ბელიობატარეების სისტემა.

მზის ენერგიის ხალხის სამსახურში ჩაყენებისათვის დიდი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა გასწია საქართველოს ენერგეტიკისა და ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა, რომლის ტერიტორიაზე აიგო პირველი „მზის სახლი“. — ამ ექსპერიმენტული „მზის სახლის“ საშუალებით, — ამბობს ინსტიტუტის სამრეწველო თბოენერგიის სექტორის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ჩიხლაძე, — ჩვენ ვასრულებთ კვლევითს სამუშაოებს მზის ენერგიის გამოყენებისათვის გათბობასა და ცხელწყალმომარაგებაში. „მზის სახლის“ ბატარეები წელიწადში 12 ტონა პირობით საბობს დაზოგავს.

ს. კილაძე.



სურათებზე: ინჟინერი ლ. ჭინჭარაული ამოწმებს მზის ენერგიით გამთბარ აუზის წყალს; ინდივიდუალური მზის ბელიოდანადგარი; ექსპერიმენტული „მზის სახლი“.

ავტორის ფოტო.

ᲩᲕᲔᲜᲡ ᲡᲐᲛᲬᲘᲠᲝᲓᲔᲑᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ. 9.00 — „ვრემია“. 9.40 — მოგზაურთა კლუბი. 10.40 — ფეხბურთი. ბულგარეთი — არგენტინა. მე-2 ტაიმი. 11.25 და 15.30 — ახალი ამბები. 15.45 და 17.40 — დოკუმენტური ტელეფილმები. 16.30 — მხატვრული ტელეფილმი „ბრინჯაოს ფრინველი“. I სერია. 17.35 — ახალი ამბები. 18.10 — ხალხური მელოდიები. 18.25 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 19.00 — პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის VIII საერთაშორისო კონკურსის საზეიმო გახსნა. შესვენებათა დროს: დღეს მსოფლიოში და ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დღიური. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ტრანსლაციის გაგრძელება. 23.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 0.35 — დღეს მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ფილმი. 9.25 — მხატვრული ფილმი „პირადი უშიშროების გარანტიას არ ვიძლევი“. 10.55 — მულტფილმი. 11.25 — ი. სტრავინსკი. კაპრიჩიო ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 11.45 — „სასკოლო რეფორმა. ორი წლის შემდეგ“. 12.15 — გერმანული ენა. 12.45 — ფილმი — ბავშვებს. 13.50 — ბ. გ. ბელინსკი. ცხოვრების ფურცლები. 14.40; 19.15 და 20.20 — დოკუმენტური ტელეფილმები. 15.15 — „როგორ იბადება მუსიკა“. გესაუბრებათ დ. ბ. კაბალევსკი. 16.30 და 19.00 — ახალი ამბები. 19.25 — სოფლის საათი. 21.00 — „ძილი ნებისა, პატარებო!“. 21.15 — მხატვრული ტანავარჯიში. 22.00 — „ვრემია“. 22.40 — მხატვრული ტელეფილმი „მირანი“. I სერია. 23.50 — ახალი ამბები.

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ

11 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია“. 9.35 — მოამბე. 10.05 — ჩვენს დიად სამშობლოში. სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „მირნი“. 10.40 — ფეხბურთი. ბულგარეთი-არგენტინა. მე-2 ტაიმი. 11.25 — კონცერტი. 11.55 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „სამშობლოს დროშით“. 12.10 — სატელევიზიო კინოდარბაზი ბავშვებისათ